# სახალხო გაზეთი

№ 727 პარასკევი, 19 ოქტომბერი 1912 წ.

**განცხადების ფასი:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა"-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღ. „სახალხო გაზეთი"-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავი წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. რედაქტორთან მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი" 190.

ტელეფონი №12-29

გაზეთის ფასი წელიწ. 8 მ. 50 კ. ცალკე № ყველგან 5 კ.
„ „ თვეში — 75 კაპ. დამატებიანი 7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.



## კანტორისაგან

1912 წ. პრემია „გრდემლის" მისაღებად უკანასკნელი ვადა არის მომავალ წლის 1 იანვარი, ამიტომ ვთხოვთ ყველას, ვისაც პრემია ერგება, ამ ვადამდე უსათუოდ მოიკითხონ, რადგანაც 1 იანვრის შემდეგ პრემია აღარ შეენახებათ და ყოველნაირი მიწერ-მოწერაც მიმდინარე წლის პრემიის შესახებ **უყურადღებოდ იქნება დატოვებული.**

**სახალხო გაზეთი** სურათებიანი დამატებით მიიღება ხელის მოწერა 1912 წლისათვის.

(არ მიიღება ხელის მოწერა ცალკე, უდამატებოდ და არც სურათებიანი დამატება იყიდება ცალკე).

წელიწადში ღირს 8 მან. 50 კაპ.
1 ღვინობისთვიდგან წლის დამლევამდე ღირს 2 მ. და 25 კ.
თვეში ღირს — — 75 კაპ.
(როგორც ქალაქში, ისე ქალაქ გარედ).
საზღვარ-გარედ თვეში ზედ-მეტი 25 კაპ.

წლ. ხელის მომწერთ (რომელთაც პრემია „გრდემლი" ერგებათ) 8 მან. 50 კ. უნდა ჰქონდეთ გადახდილი შემდეგ ვადებზე: პირველად 3 მ., მარტისათვის 5 მან., 1 მაისისათვის 7 მ. და 1 მ. 50 კ. 1 ივლისამდე.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის 1 რიცხვიდან, მხოლოდ სრული თვეებით და მხოლოდ მიმდინარე წლის ბოლომდე.

გაზეთს, ფულის მიღების უფლებით, არსად არავითარი აგენტი არა ჰყავს (გარდა წ.-კ. ს. მთავარ გამგეობის ტფილისის წიგნის მაღაზიისა) და ამიტომ პასუხს აგებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ფული ან ფოსტით არის გამოგზავნილი, ან პირდაპირ კანტორაშია მიღებული.

რედაქცია დაუბეჭდავ ნაწერების შესახებ ავტორებთან მიწერ-მოწერას არ ჰმართავს, თუნდ საპასუხო მარკაც იყოს გამოგზავნილი და დაუბეჭდავ წერილებსაც არ ინახავს. დანარჩენ შემთხვევაში ყოველ შეკითხვის ან რაიმე ცნობის შესახებ საპასუხოდ საჭიროა **ფოსტის მარკა.**

დანარჩენი პირობები იხ. გაზეთის სათაურში.


**დავით მიხეილის ძე ჩიკვაიძე, ოლღა პორფირეს ასული და პოლიკარპე ზურაბის ძე** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ქ. ბაქოში, 16 ოქტომბერს, სამშაბათს, დილის 6 ს., გარდაიცვალა პირველისა—მეუღლე, უკანასკნელთა—შვილი

## ნინო პოლიკარპეს ასული.

ბაქოდან გამოასვენეს ხუთშაბათს, 18 ოქტომბერს, სადგურს ბელაგორში და იქიდან სოფ. საბეში. დაკრძალვა სოფ. საბეში სამშაბათს, 23 ოქტომბერს. 1556.

ა ხ ა ლ ი კ ლ უ ბ ი

შაბათს, 20 ოქტომბერს 1912 წ. გაიმართება

## ქართული კონცერტი

### კ. ზ. ფოცხვერაშვილისა

შესრულებული იქნება კ. ფოცხვერაშვილის ახალ ქართულ ოპერიდან (კერპთა დამხობა) სოლოები, ხოროები და სიმფონიური ნომრები. ქალ ვაჟთა ხორო ორკესტრთან ერთად შეასრულებს ბ-ნი კ. ფოცხვერაშვილის მიერ ახლად შემუშავებულ ქართულ ეროვნულ სიმღერებს. სიმფონიურ განყოფილებაში შესრულებული იქნება სამუსიკო ესკიზი კ. ფოცხვერაშვილისა „თქმულება ამირანზე" და მ. ბალანჩივაძის „დავლური და ლეკური" („თამარ ცბიერიდან") მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნი პრესინსკაია (შეასრულებს ქურუმ-ქალის არიას „კერპთა დამხობიდან" ხოროსთან და ორკესტრთან ერთად) ქალ-ვაჟთა ხორო და ახალი კლუბის სიმფონიური ორკესტრი. კონცერტის შემდეგ გაიმართება ცეკვა. ბილეთები 20 კ. ვიდრე 2 მანეთამდე იყიდება თეატრის კასაში. **ვისაც მარტო კონცერტის მოსმენა ჰსურს, კლუბში შესასვლელ ფულს არ იხდის. დასაწყისი საღამოს 8 ნახ. საათზე** 1536 **ლოტბარი კ. ფოცხვერაშვილი.**

## ტფილისის კერძო სამკურნალო

**ძმენიძეების ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მეტეხის სასტუმროს და მიხეილის პროსპექტ. ახლოს**

**ტ ე ლ ე ფ ო ნ ი № 590.**

**სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.**

მწოლიარე ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი სპეციალისტი-ექიმები:

**ლამბაშიძე გ. დ.** (ყოველ დღე, გარდა კვირისა). 11½—12 საათ.
**დავითიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2.
**ქიქოძე ტ. ს.** (ორშაბათ. და ოთხშაბ.) 9—10.
**მაღალაშვილი გ. გ.** (ორშაბ., სამშაბ. და შაბათობით) 10—12.
**მანსვეტაშვილი ვ. მ.** (ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ.) 2—3.
**მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1.
**ფედოროვი ე. ზ.** (ყოველ დღე, გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.

**მარკევიჩი გ. ლ.** კონსულტანტი (ორშაბ., ოთხშ. და პარასკ.) 11½—12½.
**მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1.
**ფირალიშვილი რ. ბ.** (ყოველ დღე) 12—1.

ექიმი-ქალი **ვერბიცკი-ფირალოვისა ლ.** (ყოველ დღე) 11—12.
**მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1.
**ხუნდაძე ა. ი.** (ყოველ დღე) 12—1.
**თიკანაძე ი. ე.** (ყოველ დღე) 1—2.

**ლამბაშიძე გ. დ.** (ყოველ დღ. კვირ. გარდა), 12½—12 ს.
**მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1.
**ფედოროვი ე. ზ.** (ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.

**გედევანიშვილი მ. ა.** (შაბათობით) 10½—11.
**დავითიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2.

**ათენიანცი ნ. ა.** (ყოველ დღე) 1—2.
**ტრემბოვსკი ნ. ს.** (ყოველ დღე) 2½—3.

**მუსხელიშვილი გ. ს.** (ორშაბათობით, ოთხშაბ. და პარასკ. 2—2½.

**მზარეულიშვილი მ. ი.** (ყოველ დღე) 1—1½.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. Wassermann. რჩევისათვის 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია; „606" **წამლის შეშხაპუნება,** ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათიანი საფასურით. წ. 1010.

ტელეფ. № 795. **ქართული თეატრი** ტელეფ. № 795.

**კვირას, 21 ოქტომბერს,** 1912 წ.

ქართ. დრამატ. საზოგადოების დასის მიერ წარმოდგ. იქნება

**ცნობილი ისტორიული პიესა**

## სამეგრელოს მთავარი ლევან

**დრამა** 5 მოქ. ვას. ყიფიანისა.

**მონაწ. ღებულობენ:** ქ-ნნი აბაშიძე, გოგოლაშვილი, დავითაშვილი, ქიქოძე, ჯავახიშვილი. ბ-ნნი: აბდუშელი, ალექსიძე, ბერიშვილი, გუნია, გედევანოვი, ზარდალიშვილი, მესხი, მატარაძე, მგალობლიშვილი, ჟივიძე, სარაული, ციციშვილი შალიკაშვილი.

**დასაწყისი საღამოს 8 საათზე, ადგილების ფასი ჩვეულებრივია.**

თეატრის დირექცია დაბეჯითებითა სთხოვს ბ. მაყურებელთ, ფარდის ახდამდე დასხდნენ თავიანთ ადგილზე, რადგანაც ფარდის ახდის შემდეგ დარბაზში აღარავის შეუშვებენ.

**ანონსი:** ხუთშაბათს, 25 ოქტომბერს წარმ. იქნება ორი ახალი ორიგინალური პიესა: „ოჯახი"—ა. გედევანიშვილისა და „აბესალომის თმები"—ნ. შიუკაშვილისა.

რეჟისორი **შალიკაშვილი.** **(მიზან-სცენები ვალ. გუნიასი)**

ქართ. დრამ. საზოგ. ადმინ. 1554.

**ავლაბრის სახალხო თეატრი** (მურაშკოსეული, თელავის ქუჩა).

ავლაბრის ქართ. სახ. წარ. მმართ. წრისა.

**კვირას, 21 ოქტომბერს,**

ავლაბრის ქართულ სახალხო წარმოდგენების მმართველი წრის მიერ წარმოდგენ. იქნება **ქ. ა. დავითაშვილისა, ბ-ნთ ივანიძის და შანშიაშვილის** მონაწილეობით

## ურიელ აკოსტა

ტრაგედ. 5 მოქ. მედ. გუცკოვისა.

**ბ. მიხეილ წულუკიძე განმარტავს ტრაგედიის შინაარსსა** და **მნიშვნელობას.** მონაწილეობას იღებს წრის დასი. ბილეთ. ფასი 4—50 კ. ლოჟები (4 ადგილი) 1 მან. **დასაწყ. საღ. 8 ს.**

1484. რეჟისორი **ი. ივანიძე.** მორიგი წევრი **თ. ზ. ნასიძე.**



**მანქანების დამმზადებელი ქარხანა ნ. ი. ნიკოლენკოს ამხ. და კომპ.**

**„ნავთით მამოძრავებელი ბოგატირი"**

უხუფოა, კრივოშიპი ღია აქვს, უბერკეტოა, არც შესტერნები აქვს და სწრაფად მოტრიალე მორგვები აქვს. სადა და მკვიდრი კონსტრუქციისაა.

ქარხნის რწმუნებული **მ. ი. გერმანოვიჩი**

ცნობას იძლევა: კანტორა „პოსრედნიკი", ტფილისი, ოლგის ქუჩა, № 13. **ტელეფონი № 930.** 739.

## ანასტასია გედევანიშვილის საბავშვო ბაღი,

**რომელიც იმყოფება** [illegible] დინეობა დაიწყება ამა წლის 23 ღვინობისთვიდან.

მშობლებს, ვისაც ჰსურთ მიაბარონ ბავშვები სთხოვენ მობრძანდნენ პარასკევს, 19 ღვინობისთვეს, საღამოს 6 საათზე, 1911/12 წლის ანგარიშის მოსასმენად და მომავალ სამოსწავლო წლისთვის კომიტეტის ასარჩევად.

ბავშვები მიიღებიან 5—7 წლამდე. 735.

## ქ. შ. წერა-კითხ. გამ. საზოგ. წიგნის მაღაზიაში

**ისყიდება ა კ ა კ ი ს თხზულებანი:**

აკაკის რჩეული ლექსები ფასი 10 კ.
— ალექსი . . . . 10 „
— ბაგრატ დიდი . . . 10 „
— გამზრდელი . . . . 5 „
— გოგია მეჩონგურე . 5 „
— გორის ციხე . . . . 5 „
— დათუნა გოცირიძე . 5 „
— თამარ მეფე . . . . 5 „
— იგავ-არაკნი ნათარგმნი 50 „
— ოთია მესხი და ადამ ბებურიშვილი . . . . 10 „
— მამლის ყივილზე . . 10 „
— ნათელა . . . . 20 „
— ნაცარქექია . . . . 10 „
— ორი პუბლიც. სტატია 10 „
— ოცნება . . . . . 10 „
— სიტყვა თქმული ერთს არჩევანზე და საუბარი მამა-შვილს შუა . . . 10 „
— სიმღერა . . . . . 15 „
— ყვითელი სანთელი . . 10 „
— ქუთათლის სიზმარი . 5 „
— ჩემი ნაწერები . . . 75 „
— ჩემი თავგადასავალი 1 მ.— „
— წმინდა ნინო . . . . 20 „
— Избранныя стихотворенія въ переводѣ русскихъ поэтовъ . . . . . 20 „

ადრესი ტელეგრამისათვის: Тифлисъ Грамотность. 1141.

## საგურამოზე

**მშვენიერ ადგილას,** ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის ახლოს, ბლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდენელ ფასებში.

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს,** დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათ . . .ან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი,** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. (წ. 1020

**დოქტორი მედიცინისა ბერლ. უნივერს.**

## გ. გ. მეგრაბიანცი

შინაგ. ავადმყ., ავადმყოფობ. ფილტვ.—ტუბერკულ. და გულისა. წამლობს ტუბერკულინით, რადიისა და ელექტრონის პრეპარატებით. იღებს ყ.-დღ. **ახალ ბინაზე** დილ. 9—12 ს. და საღამ. 5—7 საათ. ადრესი: **სოლოლაკი,** ბებუთოვის ქ., № 23 (განოვის ქ. კუთხე). **ტელეფ. 7—92.** 724

**ექიმი ალ. სოლოღაშვილი** იღებს ავადმყოფებს 9—2 საათ. და 5—4 საათ. გოლოვინის პრ. № 12. 1334.

## ვაგზლის კერძო სამკურნალო

**გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.**

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.

**ე. ს. ვაშაკიძე.** ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9½ ს. 10 ს.

**ა. ნ. დიასამიძე.** ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფი . . . კანისა და ვენერ. 11—11½ ს.

**ბ. ა. პოპოვი.** ყოვ. დღე, კვირ. გარდა ყელ, ყურ და ცხვ. სნეულ. 11—11½.

**ექ. ქალი იოსელიანისა**—იღებს ქალთა ავადმყოფებს. სამშაბ თობით ხუთშაბათობით და შაბათობით 11—11½ საათ.

**ნ მ. მელიქიშვილი.** ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.

**ივ. გომართელი.**—ყ.-დღ. შინაგ. 2—3 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიურიქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით,

**წამლობა „606"** 1018

**ელექტრონისა და რენტგენის ს ა მ კ უ რ ნ ა ლ ო**

## მიხ. გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 12—1 ს., საღამოს 6—7 ს., **გაშინჯვა** და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ. № 20. წ. 1022

**ექიმი ქ ა ლ ი დ. გ. საყვარელიძე.**

იღებს ავადმყოფებს ქალისა და საბებიო. ნაშუადღ. 1—2 ს., საღამოს 5—6 საათამდე.

**კიროჩნის ქუჩა, № 9.** 595.

**ექიმი ივ. გომართელი** **დაბრუნდა** და განაახლა ავადმყოფების მიღება. ვერაზე, ოლღას ქუჩა № 20. დილის 8—11 ს.-მდე, საღ. 5—7 საათ. 701.

**ექიმი ი. ი. ბერიშვილი** სწამლობს **საშარდე ორგანოთა, ათაშანგისა და კანის** ავადმყ.; **ვასსერმანის** რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3—5½ ს. **ელისაბედ.** ქ., № 34, საფოსტო განყოფ. პირდაპირ. 1530

**ექიმი ა. ნ. დიასამიძე** კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 ს. კვირ. ავადმყ. არ იღებს. მოსკოვის ქუჩა, № 3. ს. გაბაშვილისა.

**ექიმი ს. ი. ზქელიშვილი** შინაგანი შინაგანულობისა და ვენერიულ ავადმყ. დილ. 9—11 საათ., საღ. 6—8 საათ. დიდუბე, საგურამოს ქ., (მუშტაიდის ბაღის შუაგულიდგან მარჯვნივ), № 21, ხრამელაშვილის სახლი. დღისით: 2—4 საათამდე. ბარონისა და ბაზრის ქუჩის კუთხე, № 14. 1411

**ექიმი კბილისა ნინო რცხილაძე** იღებს დილით 9—2 ს. საღ. 5—7 ს. ოლგას ქუჩის შესახვევი № 5, სახლი მაქარაშვილისა

**ექიმი შ. ა. მიქელაძე** იღებს **შინაგან და ბავშვთა სნეულებიან** ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6½ საათ. კაბეთის ქ., № 6.

**ექიმი პ. ა რ დ ა ზ ი ა ნ ი** შინაგან და ბავშვებ. ავადმყ (სპეციალ. ფილტვებ. სნეულ. რევმატიზმიქარები) ტფილისი, ალექსანდროვის ქუჩა, № 3. 11—2 ს. საღამ. 5—7. 1045.

**ექიმი კბილისა და ღრძილებისა პ. ა. ძაჯაია** იღებს ავადმყოფებს დილით 8—2 ს. საღამოს [illegible] დიდუბე 1579

## ტფილისი, 19 ოქტომბერი

**პროგრესისტების გამარჯვება რუსთა კურიაში.** საზოგადო კურიის არჩევნებით დაინტერესებულმა ფართო მასამ შესაძლებელია სათანადო ყურადღება არ მიაქციოს პროგრესისტების გამარჯვებას რუსთა კურიაში. ეს ფაქტი კი ფრიად საყურადღებო და სიმპტომატიურია. რუსთა კურია საზოგადოდ მთელს რუსეთში ნაყოფია ნაციონალისტურისა და რეაქციონურის პოლიტიკისა. იმათ, ვინც რუსი ამომრჩეველები ცალკე კურიად გამოჰყვეს, უნდოდათ გაეძლიერებინათ რეაქციონური ელემენტი. რუსი ამომრჩევლები აპრიორულად, მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი რუსები არიან, რეაქციონერებად ჩასთვალეს. უეჭველია ამიერ კავკასიაზე განსაკუთრებულ იმედებს დაამყარებდნენ. საკმარისია გაითვალისწინოთ, ვისგან შესდგება ადგილობრივ რუსთა უმრავლესობა, რომ ამ აზრის სიმართლეში დარწმუნდეთ. ესენი არიან უმეტეს შემთხვევაში მოხელენი. მთავრობა, უეჭველია, ვერც კი წარმოიდგენდა, რომ რუსი მოხელე უფროსის ბრძანების ყურმოჭრილი ყმა არ იქნებოდა და გამოსთქვამდა თავის პოლიტიკურ რწმენას როგორც თავისუფალი მოქალაქე. მთავრობას ამიერ-კავკასიის მოხელე და რუსის საზოგადოება წარმოდგენილი ჰყავდა უსიტყვო, უპიროვნო არსებად. აშინებდა ხან არა რუსთა სეპარატიზმით, ხან აჯანყებით, მაგრამ თვით რუსის საზოგადოებამ უფრო კარგად დააფასა სინამდვილე.

პროგრესისტების გამარჯვება მშვენიერი ნიმუშია რეაქციონურ და ნაციონალისტურ პოლიტიკის უსაფუძვლობისა. რუსის ამომრჩეველთა უმრავლესობამ შეგნებულად პირი უბრუნა იმათ, ვინც სახელმწიფოებრივ მოღვაწეობას მხოლოდ მყვირალა შოვინისტურ ფრაზებში ჰხედავდა.

ამ რიგად, უკანასკნელ წლებში პოლიტიკა სწორედ იქ დამარცხდა, სადაც ყველაზე ნაკლებად მოელოდა ბიუროკრატია, დამარცხდა რუსთა კურიაში. ეს ძალიან კარგი გაკვეთილია რუსის მყვირალა ნაციონალისტებისთვის, მაგრამ განა ისტორიის მაგალითებს მათთვის როდისმე რამე უსწავლებია?

## ახალი ამბავი

### ტფილისი

✦ **სამამულიშვილო ომის აღსანიშნავად** 17 ოქტომბერს ალექსანდრე-ნეველის ეკლესიასთან (ანდრეევის ქ.) არსებულ ძმობის დარბაზში ტფ. სამრევლო სკოლების მოსწავლეთათვის სალიტერატურო დილა გაიმართა. დილას ეგზარხოსიც დაესწრო. მოსწავლენი გუშინ სწავლისაგან განთავისუფლებული იყვნენ ეგზარხოსის განკარგულებით.

✦ დღეს, საღამოს 8 საათზე, სადეპუტატო საკრებულოში ამომრჩეველთა კრება იქნება.

✦ **ხელოსანთა გაფიცვა საფარიანცისა და ტერსააკოვის ტანსაცმელის მაღაზიაში.** 17 ოქტომბერს ტფ. სახელოსნო გამგეობამ პოლიცმეისტერს აცნობა, რომ საფარიანცისა და ტერ-სააკოვის მაღაზიაში (გოლოვინის პროსპექტზე, ქვაშვეთის ეკლესიის შენობა) ხელოსნები გაიფიცნენ და მოითხოვეს სამუშაო ფასის მომატება, სანიტარულ პირობათა გაუმჯობესება და სხვა. სახელოსნო გამგეობას ღონისძიებანი მიუღია მაღაზიის პატრონთა და მომუშავეთა მოსარიგებლად, მაგრამ მორიგება ვერ მომხდარა. გაფიცვა ახლაც გრძელდება.

✦ ნაფიცი ვექილი **ლუარსაბ ნ. ანდრონიკაშვილი,** რომლის კანდიდატურაც წამოყენებულია სათათბიროს დეპუტატობაზე, პეტერბურ[illegible] „ორიანტ"-ის სასტუმროში ჩამოხტა.

✦ ტფ. პოლიციის უფროსმა მოხელეებმა სურვილი განაცხადეს, თავის ჯამაგირიდან ერთი % გადასდონ ბალკანეთში მეომარ სლავიანთა სასარგებლოდ.

✦ **ტფ. სატელეგრაფო კანტორის** უფროსად ინჟინერი ბედნიკოვი დაუნიშნავთ.

✦ ტფილისის ვაჭართა მამასახლისმა ა. მილოვმა ტფ. საფოსტო სატელეგრაფო ოლქის უფროსს სთხოვა: საფოსტო ნომრიანი ყუთები ცენტრალურ კანტორიდან გადმოიტანონ სოლოლაკის განყოფილებაში, რადგანაც ამ რაიონის ვაჭარ-მრეწველთათვის ამას დიდი მნიშვნელობა აქვსო.

✦ ოთხშაბათს, 17 ოქტომბერს, საღამოს 6 საათიდან—8 სათამდე ტრამვაის ვაგონები არ მუშაობდა, რადგანაც ელექტრონის ძალის მოქმედება შესწყდა.

✦ **კავკასიის უნივერსიტეტის საკითხი.** კავკასიაში უმაღლეს სასწავლებლის გახსნის საკითხის განხილვა ხელ-ახლად გადაიდო გამოურკვეველ დრომდე, რადგანაც მეფის მოადგილე გრ. ვორონცოვ-დაშკოვი პეტერბურგიდან გამოემგზავრა. კაბინეთის წევრნი კი ვარანცოვ-დაშკოვის დაუსწრებლივ ამ საკითხის განხილვას არ შეუდგებიან.

✦ სათანადო მთავრობამ შუამდგომლობა აღძრა, რათა სახელმწიფო ხაზინიდან გადადებულ იქმნას 276,655 მან., ქ. გორში ამიერ კავკასიის სამასწავლებლო სემინარიის შენობის ასაგებად.

✦ ჩვიდმეტ ოქტომბერს ტფილისში 39 უპასპორტო შეიპყრეს.

### სასამართლო

✦ 20 ოქტომბერს, ტფილისის ოლქის სასამართლოში გაარჩევენ მეტად საყურადღებო საქმეს. სოფ. წინარეხის მცხოვრებ (გორის მაზრა) **ეკატერინე ლეკიშვილს** ბრალდება იქაურ გლეხის მოკვლა, როდესაც უკანასკნელმა მოიწადინა ქალის გაუპატიურება. ბრალდებულს დაიცავს ნაფ. ვექილის თანაშემწე შ. ვ. ალექსი-მესხიშვილი.

✦ 23 ოქტომბერს სასამართლო პალატის მეორე დეპარტამენტში განხილული იქნება საპელაციო საქმე **მღვ. ტორმიდონტე მომარიასი და მისი ცოლის ანასი,** რომელთაც გა-

ქცეულ ყაჩაღის დაფარვა ჰბრალდებათ. ბრალდებულთ იცავს ნაფ. ვექილის თანაშემწე გ. ი. ჟორდანია.

✦ 30 ოქტომბერს, ტფ. ოლქის სასამართლოში განხილული იქნება მეტად საინტერესო საქმე ტფ. **სასულიერო სემინარიის მოწაფეთა,** რომელთაც ბრალდებათ გაძარცვის მიზნით სემინარიის ეკანომზე თავს დასხმა. ამ საქმისათვის დაბარებულია 100-ზე მეტი მოწმე.

✦ 23 ოქტომბერს ტფილისის სამოსამართლო პალატის მეორე დეპარტამენტი გაარჩევს გაზ. „კოლხიდის" რედაქტორად ნამყოფ ა. ჭუმბაძის საქმეს, რომელსაც გორის პოლკის მღვდელი ლეპარსკი სისხლის სამართლის მე-1019 მუხ. ძალით ცილისწამებას უჩივის. ბრალდებულს დაიცავს ნაფიცი ვექილი გრიგოლ რცხილაძე.

# ნააზრევი.

II

**„თემის" წინამძღოლი.**

როდესაც „თემზე" და „თემის" წინამძღოლის შესახებ ვიწყებთ ლაპარაკს და გვწადია გავითვალისწინოთ ამ ადამიანის სულიერი განცდა-განწყობილება, არ შეიძლება არ მომაგონდეს ერთი თანამედროვე ქართველი მოღვაწის სიტყვები, რომლითაც მან მშვენივრად დაახასიათა ჩვენი საერთო ნაცნობი და მეგობარი, თანამედროვე ახალგაზდა ქართველი, რომლის ბედ-იღბალი და მომავალი ყოველთვის იპყრობდა ჩვენს აზრს, გვაინტერესებდა იმისი სულიერი მისწრაფებანი და ლტოლვილებანი.

სიმონი, რომლის შესახებაც ჩვენ არა ერთხელ და ორჯელ გვქონია სჯა-ბაასი, საკმაოდ განათლებული ადამიანია. თუ კი რომელიმე თანამედროვე ახალგაზდა ქართველს შეუძლიან სთქვას, რომ მას რამე გაუკეთებია თავის ცხოვრებაში,—სიმონსაც შეუძლიან. ხომ ყველაფრით კარგი და მომზადებული იყო ჩვენი სიმონი, პატიოსანი და სინიდისიერი, მაგრამ რაღაც აკლდა ამ ადამიანს: თითქოს არა ამ ქვეყნისთვის იყო იგი გაჩენილი—ისე მოქმედებდა და ლაპარაკობდა. იმისი სულიერი მდგომარეობა ყოველთვის განირჩეოდა ხოლმე სხვა მის თანამედროვე ქართველისაგან.

კარგა ხანი ვადევნებდი თვალყურს, მის აზრის წინსვლას, მის სჯაბაას და დღითი-დღე ვრწმუნდებოდი, რომ იგი გულ-წრფელი ადამიანია. მაგრამ ამასთანავე ერთად ვრწმუნდებოდი იმაშიც, რომ სიმონს არა აქვს გამორკვეული სახე, ფიზიონომია, მიმართულება და პრინციპები. განსაკუთრებით დავრწმუნდი ამაში ერთი ბაასის შემდეგ, რომელიც ერთს ჩვენს ნიჭიერ საზოგადო მოღვაწესთან მქონდა.

— „სიმონი, ჩემო კარგო,—მიამბობდა იგი თვისი ტკბილი და მომხიბლავი ენით, ეს ჩვეულებრივი მოვლენაა ცხოვრებაში: იგი არაფრით არ განირჩევა უბრალო მომაკვდავ ადამიანისაგან, თუ არ მივიღებთ მხედველობაში მის განათლებას და პატიოსნებას. პატიოსანი უნდა იყოს ყოველი ადამიანი,—ეს ხომ ადამიანის ღირსებას არ შეადგენს?

რომ სიმონი განათლებული კაცია, რომ მას ბევრი წაუკითხავს და შეუსწავლია თავის ცხოვრებაში, ამას თქვენც კარგად ხედავთ, მაგრამ თქვენ უმთავრეს მის ნაკლულოვანებას ვერ ამჩნევთ.

სიმონი, ჩემო მეგობარო, ბევრისათვის გამოურკვეველი ტიპია, მაგრამ მე მას მშვენივრად, ძალიან კარგად ვიცნობ. თქვენთვის საკმარისია ადამიანმა ლამაზი და მოხდენილი სიტყვები წარმოსთქვას. თქვენ მაშინვე რწმუნდებით, რომ იგი შესამჩნევი კაცია და სრულებით გავიწყდებათ მისი სულიერი განცდა-განწყობილება. სიმონს თავისუფლად შეუძლიან დღეს ერთი ილაპარაკოს და დაიცვას, ხვალ კიდევ მეორე აზრსა და მიმართულებას გამოედევნოს და კიდეც დაიცვას ეს აზრი. სიმონი იმგვარი ადამიანია, რომელსაც ყოველთვის თან დააქვს წაკითხულ წიგნებით სავსე უზარმაზარი შკაფი. უყვარს სჯა-ბაასი, ჩვენი უსაფუძვლო არსებობის შესახებ; საზოგადოდ, რა თემაზედაც გინდათ ჩამოაგდეთ ლაპარაკი, უსათუოდ გამოგეხმაურებათ და კარგადაც დაიცავს თავის პოზიციას. მაშინვე გახსნის იგი თავის შკაფსა და გამოალაგებს იმ ურიცხვ წიგნებს, რომელიც მას ოდესღაც წაუკითხავს, მაგრამ ვერ განუცდია-კი!..

დღეს მას შეუძლიან იყოს უკიდურესი ანარხისტი, თუ-კი თქვენში იგი ჰხედავს სოციალისტს და მოწადინებულია წინააღმდეგი დაგიმტკიცოთ. წარმოიდგინეთ, თქვენ დაეთანხმეთ მას; იგი მაშინვე თქვენს პოზიციას იჭერს და იქიდან დაგიწყებსთ თქვენს აზრების უსაფუძვლობის მტკიცებას.

ყველა ამის შემდეგ ჰხურავს თავის [illegible] ემგზავრება სახლისაკენ. როგორ გგონიათ ეხლა—რისთვის ლაპარაკობს ეს ადამიანი, რისთვის იწუხებს თავს?—მხოლოდ იმისთვის, რომ ილაპარაკოს: მას უფრო ლაპარაკის პროცესი აინტერესებს, ვიდრე რომელიმე მიმართულების მტკიცება. არ ვიტყვი, სიმონი იმდენად ბავშვი იყოს, რომ თვისი ცოდნის გამოჩენა უნდოდეს,—არა, იგი მხოლოდ ავადმყოფი ადამიანია. მას გაუგია, რომ ადამიანს როგორც სმა-ჭამა უნდა, ძილი და მოსვენება, ისე სჯა-ლაპარაკი. ის კი სულ ერთია მისთვის—თქვენს მიმართულებას დაიცავს იგი, თუ თვისას.

ასეთია სიმონის არსება და ამგვარივეა იმისი უზარმაზარი შკაფიც, საიდანაც მას გამოაქვს ხოლმე აზრი, მცნება, და გიმტკიცებსთ რომელიმე საკითხის სიმართლეს ან უსაფუძვლობას.

სულ სხვაა სიმონის მეორე შკაფი, რომელშიაც თვითონ არის გამომწყვდეული და ხანდისხან გამოვა ხოლმე ასპარეზზე. აქ თქვენ ველარ დაინახავთ ვერც ცოდნას, ვერც წიგნებსა და წიგნებიდან ამონაღებ ფრაზებს—აქ სიმონი მხოლოდ სიმონია, ძალიან პატარა ადამიანი, სულ უმნიშვნელო და პატარა საქმეების მოსარჩლე და დამცველი. მე არ ვიტყვი, რომ იგი არ არის გულწრფელი; სრულებით არა, ძალიან გულწრფელია და ამასთანავე პატიოსანიც, მაგრამ მხოლოდ ამ ყოველდღიურ ცხოვრებაში. ერთი სიტყვით, სიმონი ჩემთვის გარკვეული პიროვნებაა, ცოტა არ იყოს მხდალიც არის.

იქ, სადაც საჭიროა ლაპარაკი, თავის გამოდება და მოქმედება, იგი ხმასაც არ ამოიღებს, თავს არ შეიწუხებს.

ასეთია ამ ადამიანის სულიერი განცდა-განწყობილება. ამგვარ პიროვნებად მიმაჩნია მე ჩვენი სიმონიო",—დაამთავრა მუსაიფი მან.

მაშინ დავრწმუნდი, რომ სიმონი მართლაც „ორ შკაფიანი" პიროვნებაა.

ამის შემდეგ, გამახსენდება თუ არა სიმონი,—ამასთანავე წარმომიდგება თვალ-წინ „თემის" მდგომარეობაც, იმის წინამძღოლის სახე, ფიზიონომია; მთელი მისი სულიერი განცდა-განწყობილება ნათელი ხდება ჩემთვის.

გადაიკითხეთ უკანასკნელი ნომერი ამ გაზეთისა და თქვენ დარწმუნდებით, თუ რამდენად მართალია ის საზოგადო მოღვაწე, რომელიც სიმონს და სიმონის მსგავს პიროვნებას „ორ შკაფიან" ადამიანის სახელს უწოდებდა.

ამას წინად ჩვენ ვამბობდით, რომ თუ „თემის" უკანასკნელ ნომერს დავუ- [illegible] მელ ხალხის ერთგულმა ჯგუფმა შეიფვისოს ის ეროვნულ-პოლიტიკური იდეალი, რომელიც ასულდგმულებდა ერთ დროს მათ და ბ. არჩილ ჯორჯაძეს", მაგრამ იგი, მიუხედავად ასეთ აღსარებისა, მაინც მესამე დასელების კანდიდატს ამჯობინებს"...

გვეუბნებიან, ეროვნული საკითხი ჩვენთვის იგივეა, რაც თქვენთვისო და ამასთანავე მხარს უჭერენ ისეთ მიმართულებას და რწმენას, რომელიც სავსებით უარყოფს ეროვნულ-პოლიტიკურ იდეალებს.

რა უნდა უწოდოთ ამგვარ საქციელს, თუ არა პოლიტიკური მოუმწიფებლობა, გამოურკვევლობა, „ორ შკაფის" პატრონობა?

მიუხედავად ამისა, „თემი" მაინც გვიწყრება და ქუჩური სიტყვებით ილანძღება: თქვენ მატყუარებო, უსვინდისოებო და სხვა.

ჩვენ დაუმტკიცეთ მათ ის, რაც ყოველ მიუდგომელ მკითხველისათვის ცხადზე უცხადესია: რომ აპოლიტიკოსის წერილით „თემი" იცავდა თ. ვლ. მიქელაძეს; დაუმტკიცეთ აგრეთვე, რომ მას არა აქვს არავითარი გარკვეული აზრი ნაციონალურ საკითხის შესახებ და, საზოგადოდ, ეს გაზეთი გამოურკვეველ-ბუნდოვანია. ამაზე არსებითი პასუხი არ მიგვიღია. ამ შემთხვევაში ბ. „თემის" წინამძღოლმა უკუაგდო თვისი „პირველი შკაფი", საიდაც თქვენ წიგნებიდან ამონაღებ აზრებს მაინც იპოვნიდით და მიმართა „მეორე შკაფს", რომელშიაც თვითონ არის გამომწყვდეული. ნათლად დავინახეთ და წარმოგვიდგა თვალ-წინ იმ პატარა და საწყალი სიმონის სურათი თვისი უმნიშვნელო და პატარა მისწრაფებით და ლტოლვილებით: დარწმუნდით, რომ „თემის" წინამძღოლი პატარა ადამიანია, რომ იგი მხოლოდ იმისთვის ლაპარაკობს, რომ ილაპარაკოს, ლაპარაკის პროცესიისათვის და სულ ერთია მისთვის თქვენს აზრს დაიცავს თუ თვისას.

ასეთია, მკითხველო, „თემის" რედაქცია და ასეთივეა მისი წინამძღოლიც: სიმონის გულის ზრახვანი და მისწრაფებანი,—ეს „თემის" გულის წუხილი და ლტოლვილებანია, იმისი მოქმედება და აზრი,—„თუ მის" წინამძღოლის აზრი და მოქმედება!..

მაშ განაგრძეთ ამგვარი შრომა და მოღვაწეობა, ლანძღვა და გინება და დარწმუნებული იყავით იმაში, რომ თქვენც მოიხვეჭთ ერთგვარ სიმართლის დამცველების სახელს!..

**ისარი.**

# მოწყენილი ამბები

[illegible] რივ წ. კ. ს. განყოფილების მოთაოსნობით, აქაურ სიტყვა-კაზმულ წრის სახლში წაიკითხა ლექცია შოთა რუსთაველზე გრიგოლ რობაქიძემ. ლექცია წაკითხულ იქმნა ქართულს ენაზე. მკითხველმა საზოგადოებამ უკვე იცის, რომ ბ-მა რობაქიძემ ეს ლექცია სხვა და სხვა დაბა-ქალაქებში წაიკითხა და ქართულ გაზეთებში უკვე იყო აღნიშნული ლექციის შინაარსი, ამ გარემოებით ზედმეტია ეხლა მისი განმეორება. ვიტყვი მხოლოდ, რომ ბ. რობაქიძის ცდა იყო, დაემტკიცებინა რუსთაველის მსოფლიო მნიშვნელობა და რუსთაველის ნაწერების ორგინალობა. ორთავე დებულება მან ღირსებით შეასრულა. ჩვენი ყურადღება უფრო იმან მიიპყრო, თუ როგორ ფორმებში გამოჰხატა მან თავისი ღრმა მეცნიერული აზრი ქართულს ენაზედ. სამწუხაროდ, ქართველი საზოგადოება მოკლებულია დედა ენაზედ მეცნიერების ვარჯიშობას, რის გამოც ძვირად მოიძებნება ჩვენს ინტელიგენციაში ქართულად ბთლიანი მეცნიერულის სიტყვის წარმომთქმელი; სწორედ ამ მხრით, დიდად მადლობელი ვართ ბატონი რობაქიძისა, რომ მან შეძლება მოგვცა მოგვესმინა მხატვრული, მეცნიერული და მასთან მუსიკალური მთლიანი ქართული სიტყვა. მთელი ორი საათის განმავლობაში საზოგადოება სულგანაბული შეჰყურებდა ლექტორს და სტკბებოდა მისის სიტყვით.

ღამის თერთმეტ საათზე დაასრულა ლექტორმა ლექცია ამ სიტყვებით: „თუ რომ რუსთველმა თავისი გენიოსური ნიჭის ნაყოფით აქართველა ქართველი, ქართველი ერიც ვალდებულია ეხლა გამოიღვიძოს და არუსთაველოს თავისი უდიდესი შვილი რუსთაველი"-ო. ამ სიტყვებს მოჰყვა შეუწყვეტელი ტაშის კვრა და ვაშას ძახილი. **ვ. ლეჩხუმელი.**

**სოფ. ლილო.** ამ წინაზედ ლილოს მერძეობის ამხანაგობამ შეიძინა ცამეტი მწველელი ფშავური ჯიშის ძროხა. ამ ძროხების შესაძენად ამხანაგობას საგანგებოდ ჰყავდა გაგზავნილი მცოდნე პირი, ბ. რ. გედევანიშვილი, რომელსაც თან ახლდა ამავე სოფლის ერთი გლეხიც. როგორც ანგარიშიდანა სჩანს, ძროხები პირიანად შეუძენია ბ-ნ გედევანიშვილს. ბევრი წვალებაც გამოუვლია მათ სყიდვაში, მაგრამ მაინც დაუძლევია ყოველივე დაბრკოლება. მიუხედავად ამისა, ზოგიერთი ამხანაგთაგანი მაინც ვერ არის დაკმაყოფილებული და ავრცელებს ხმებს, ძროხები არ ვარგანანო, ცოტას იწველიანო. თითონ ბ. გედევანიშვილი ამ მოვლენას აბრალებს იმ გარემოებას, რომ ძროხების შოვნა არ იყოო და ამაზედ უკეთესი მიტომ ვერ ვიყიდეო. კარგი მწველელები არიან თუ არა, ასე საჩქაროდ გაგება ძალიან ძნელია: შესაძლებელია აქაური ჰავის ბრალიც იყოს; ჯერ, ვიდრე შეეჩვევიან აქაურ ბუნებას, ძალიან ძნელი სათქმელია, როგორი მწველელები დადგებიან; მერე ეგ შენახვაზედაც ჰკიდია; საზოგადოდ, ასეა თუ ისე, ძროხები შეიძინა ამხანაგობამ და [illegible] კი უპირველესია, რადგან ამერიდან მერძეობის საქმე [illegible] ჩარხულად და [illegible] ნიადაგზედ დამდგარ[illegible].

როგორც გადმოგვცეს, მატყურფშიაც უპირებიათ მერძეობის ამხანაგობის შედგენა კოოპერატიულ ნიადაგზე. **კრაზანა.**

**სოფ. წყალტუბო.** (ქუთ. მაზ.) ქ. ქუთაისიდან, ცხრა ვერსტის მანძილზე, მთა გორათა შუა, მდებარეობს ს. წყალტუბო, რომლის სიმდიდრეს და სიამაყეს წარმოადგენს სამკურნალო წყლები. ეს წყლები ძალიან მარგებელია ქარებისათვის, ზაფხულობით ს. წყალტუბოში დიდ-ძალი ხალხი იყრის თავს. დიდი ხანია მას შემდეგ,—რაც ეს წყლები ამოჩენილა ბ.ბ. იოსელიანების მამულში, რომელთაც გაუკეთებიათ ერთი დიდი და მეორე პატარა აბანო. დიდი აბანოს შემოსავალი სეზონზე 8-10 ათას მანეთს უდრის. მისი პატრონი სამოცამდე, სხვა და სხვა წოდების პირია.

დიდი აბანოს წყლის თვისება ხალხს უკეთესად მიუჩნევია, რის გამოც თითქმის ყველა აქ მოდის, გარდა აგვისტოს უკანასკნელ რიცხვებისა და ენკენისთვესა, როცა ორივე აბანო ავსილია ხალხით. ეს აბანო შესდგება ოთხ განყოფილებისაგან: მოაბანავეთა რიცხვი განუსაზღვრელია, მთელ-დღეს ბანაობა ღირს 20 კაპ., ამის გამო ბევრი 5—7 ჯერ ბანაობს დღეში. ეს არც ისე უხდება ავადმყოფს, მით უმეტეს, რო მთელ დღეს აბანოს კარი საკმაოდ დაკეტილია, აბანოში არ მოიპოვება ტანისამოსის ჩამოსაკიდი, რის გამოც ხშირად მიწაზე ცვივა და ტალახში ისვრება (ხშირაო იკარგება კიდეც) საჭიროა ჩამოსაკიდების მომატება და იატაკის დაგება.

აბანოს ეზოშივე რამოდენიმე სახლია ოთახებად დაყოფილი. ამ ოთახებში დგება ყველა მოსული და დღეღამეში თითო მანათს იხდის. ოთახის მოწყობილობას შეადგენს ერთი ან ორი ტახტი, ამდენივე სკამი და ერთიც მაგიდა. ოთახებში თავისუფლად ჩამოდის წვიმა და რა თქმა უნდა ყველა უკმაყოფილოა. მაგრამ რა ქნან, მეტი ბინა აქ არ მოიპოვება. ხანდისხან ეს ოთახებიც არ არის საკმარისი. მოსულნი იძულებულნი არიან ცისა და ურმის ქვეშ დარჩნენ რამოდენიმე დღე და ან უკან გაბრუნდნენ.

ასეთ მოუწყობლობისა და მასთან სანოვაგის სიძვირის გამო, ხშირად აქ მოსულნი თავს ანებებენ ბანაობას (უმრავლეს შემთხვევაში რუსები) და მიდიან. ვინც კი ავადმყოფობის გამო იძულებულია დარჩეს, დიდ გაჭირვებას განიცდის. ყო-

# მამულების დანაწილება საქართველოში

VI

(დროებით ვალდებული გლეხების მიწა-ადგილი)

**ტფილისის გუბერნია.**

სათავად-აზნაურო საკრებულოს სტატისტიკურ კრებულში არაა მოთავსებული ცნობა, თუ სოფლად დროებით ვალდებულ გლეხთა მიწათმფლობელობამ რა სახე მიიღო, ბატონ-ყმობის გადაგდებიდან უმახლობელეს მომავალში, არაა ცნობა, თუ სად რამდენი მიწა-ადგილი ჰქონდა ამ გლეხებს, როგორ იყო მათ შორის მიწა დანაწილებული და სხვა[1]) ეს ცნობა კი საზოგადოებას პირ და პირ დაანახვებდა, რომ რაწამს გლეხ-კაცმა ნადელი აიღო, ზოგმა სხვა და სხვა გაჭირვების გამო, ზოგმა საწარმოვო იარაღებისა და სახსართა უქონლობის გამო მიჰყიდა უფრო შეძლებულსა და ღონიერ გლეხს, ან სხვა წოდების პირს. ზოგს ნადელი არ გაუყიდია, მაგრამ გაუმჯობესებულ იარაღებით მომუშავე მეურნეს მეტოქობა ვეღარ გაუწია და ამ რიგად იძულებული გახდა მიწა მიეტოვებინა და ამ რიგად განვითარდა სოფლად მცხოვრებთა სოციალური დიფერენციაცია, ან რაც იგივეა, საზოგადოების სხვა და სხვა შეძლების დაგვარად დაყოფა. მესაკუთრეთა ასეთი კლასობრივად დაყოფა იმაში გამოიხატება, რომ მწარმოებელ მუშას კიდევ უფრო აკლდება მიწა-ადგილი და მუშის ამ დანაკარგს იღებს და იძიებს შეძლებული ხალხი. ამით კი ის ნადელი, რომელიც ერგო გლეხებს ბატონყმობის მოსპობიდან, უფრო უმცირდება და აკლდება. ეს გარემოება,—სინამდვილე ჩვენი ეკონომიური ცხოვრებისა,—იმდენად დიდმნიშვნელოვანია, მას ისეთი ანგარიში უნდა გაუწიოს ყოველმა სტატისტიკოსმა, რომ ამ საკითხის, მოვლენის სათანადო დასასურათებლად მრავალი მასალები და მაგალითები უნდა მოჰკრიბოს და გამოაქვეყნოს, რომ ცალმხრივი და ნაკლული შეხედულება არ ვიქონიოთ სერიოზულ მოვლენაზე[2]).

გლეხ-კაცობის ცხოვრებაში აგრეთვე დიდი მნიშვნელობა აქვს მიწაადგილის მდებარეობას, იმას თუ სად იმყოფება მიწა, რას წარმოადგენს ის გლეხის ნადელი ერთი მთლიანი, ერთ ნაჭრიანი ადგილია თუ მრავალ ნაჭრებიდან შესდგება. პირველ ორ კითხვაზე ბ. ფ. გოგიჩაიშვილის სტატისტიკური მასალა ცნობებს არ გვაწვდის; რაც შეეხება გლეხ-კაცობის ნადელების ნაწილებით მდგომარეობას, ამის შესახებ კრებულში სათანადო მასალებია მოყვანილი და ცხადია, რომ ამ ცნობებს დიდის ყურადღებით უნდა მოვეკიდოთ და გავიგოთ.

საზოგადოდ, როდესაც ეკონომისტები და აგრონომები აღიარებენ, რომ თანამედროვე გაუმჯობესებულ მეურნეობის წარმოებას აუცილებლად ესაჭიროება რვა დესეტინა მიწა-ადგილიო, ამით ის ინიშნება, რომ ამა ზომაზე ნაკლებ მიწის სივრცეზე შეუძლებელია მანქანურ და ორთქლისა თუ ელექტრონის ძალით ამუშავებულ იარაღების გამოყენებაო. ჩვენში ჯერ 4 დესიატინა მიწა-ადგილზე ხომ შეუძლებელია წესიერი მეურნეობის გამართვა და მით უფრო შეუძლებელია ეს, თუ ეს ოთხი დესიატინაც დანაწილებულ-დაფლეთილია. სინამდვილე კი გვიჩვენებს, რომ მთლიანი ნადელი თითქმის სრულებით არ არის მთელს ტფილისის გუბერნიაში.

მაგალითად, საყანე, საბალე და სამოსახლო ადგილები გლეხებისა იძლევიან შემდეგ სურათს მამულის დაქუცმაცებისას.

**დანაწილებული ყოფილა მამული შემდეგ ნაირად:**

| | სამოსახლო მიწა ადგილი. | დანაწილებულია ნაჭრებად. | საბალი მიწა ადგილი. | დანაწილებულია ნაჭრებად. | სახნავი მიწა ადგილი, | დანაწილებულია ნაჭრებად. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბორჩალოს მაზრაში | 689 დ. | 2.542 ნ. | 214 დ. | 521 ნ. | 17.080 დ. | 18.857 ნ. |
| გორისა | 684 „ | 4.992 „ | 1.428 „ | 4.661 „ | 21.411 „ | 25.777 „ |
| დუშეთისა | 220 „ | 2.549 „ | 470 „ | 1.337 „ | 6.877 „ | 14.779 „ |
| სიღნაღისა | 386 „ | 1.731 „ | 1.034 „ | 2.253 „ | 7.689 „ | 10.804 „ |
| თელავისა | 527 „ | 1.860 „ | 1.908 „ | 2.416 „ | 7.244 „ | 7.751 „ |
| ტფილისისა | 215 „ | 1.442 „ | 409 „ | 999 „ | 5.794 „ | 6.387 „ |
| თიონეთისა | 56 „ | 355 „ | 174 „ | 330 „ | 1.430 „ | 1.627 „ |

ამ მეტის მეტად ძვირფას მასალიდან შეგვიძლია დროებით ვალდებულ გლეხის ნადელის გასაცნობად საინტერესო ცნობა გამოვიყვანოთ. პირველ წყების მეორე წყებაზე გაყოფა დაგვანახებს, რომ მაზრების მიხედვით მიწა-ადგილის სხვა და სხვა ნაჭერი წარმოადგენს:

**საშუალოდ თითო**

| | სამოსახლო ადგილი | საბალო ადგილი | სახნავ-სათესი ადგილი |
|---|---|---|---|
| | დეს. | დეს. | დეს. |
| ბორჩალოს მაზ. | 0,27 | 0,14 | 0,90 |
| გორისა „ | 0,13 | 0,30 | 0,83 |
| დუშეთისა „ | 0,08 | 0,35 | 0,47 |
| სიღნაღისა „ | 0,22 | 0,45 | 0,71 |
| თელავისა „ | 0,28 | 0,78 | 0,93 |
| ტფილისისა „ | 0,14 | 0,40 | 0,90 |
| თიონეთისა „ | 0,16 | 0,52 | 0,87 |
| მთელ გუბერნიაში | 0,18 | 0,46 | 0,80 |

ამნაირად, დროებით ვალდებულ გლეხის მიწა-ადგილი ერთი მეორიდან მთელ ტფილისის გუბერნიაში დაშორებული ყოფილა, მთელი ნადელი დაქუცმაცებულია ისე, რომ საშუალოდ თვითო ნაჭერი მიწისა წარმოადგენს:

| | | |
|---|---|---|
| სამოსახლოს | 0,18 | დეს. |
| საბალო | 0,46 | „ |
| სახნავ-სათესი | 0,80 | „ |
| მთელი ნაჭერი | 1,44 | „ |

ეხლა კი საზოგადოებისათვის ნათელია, თუ ეს მაიახოვრული ნადელი რა რიგად ყოფილა დაქუცმაცებული. თუ რვა დესეტინაზე ნაკლებ მიწაზე შეუძლებელია ხეირიან მეურნეობის წარმოება, რა თქმა უნდა, ყოვლად შეუძლებელია ისეთ 4 დესეტინაზე, რომელიც ნამდვილად ოთხად და სამადაა დაყოფილი. სახნავ-სათესი მიწა გლეხისა კი ხუთ ნაჭრადაა დაკვეთილი (4,87-ად.).

ბატონ-ყმობის წესების ლიკვიდაციაზე მომუშავე კომისიები ყურსაც არ იბერტყავდნენ. რომ ნადელი მთლიანად და დაუქუცმაცებლად გადაეცათ ნაყმევ გლეხისათვის წესების კრებულში („положенія") ამიტომ ამ რთულსა და დიდ საკითხზე კრინტიც არ არის დაძრული. ერთის მხრივ მომუშავეთა შეუგნებლობა, მეორეს მხრივ კლასობრივი ინტერესი მთავრობისა და თავადაზნაურობისა გვიხსნის, თუ ეს მოვლენა რისთვის მიუყრუებიათ „დებულებათა" ავტორებს.

თვითონ თავად-აზნაურობა კი მეტის-მეტად აფასებდა მთლიან მიწაადგილს, რადგანაც სანადელო მიწების განსაზღვრულ რაოდენობის გაცემა უმთავრესი რამ იყო და მთავრობა კი სრულებით უყურადღებოთ სტოვებდა თუ რა სახის და შინაარსის იქნებოდა ეს ნადელი, ამიტომ თავად-აზნაურობას საშუალება ჰქონდა მიეცა გლეხისათვის ისეთი ნადელი, რომელიც მას მოესურვებოდა, რომლის უვარგისობაში კარგად იყო დარწმუნებული. გლეხს ნადელის ერთ ნაჭერს ალთას აძლევდნენ, მეორეს კი—ბალთას, მესამეს კლდეზე, მეოთხეს ღრეზე და ამ რიგად დგებოდა გლეხის მთელი ნადელი. მიჰხვდებით, თუ რა ღირებულებისაც იქნება ეს ნადელი გლეხის ცხოვრებაში.

შემდეგ, როდესაც მიწა-ადგილების სასამართლოს წესით გამიჯვნა აუცილებელი გახდა და დამამტკიცებელი ხელ-უხლებელ მიწად-მფლობელობისა, თავად-აზნაურობა — იმ კანონის ძალით, რომელიც გამომდინარეობდა „положенія..."-ს თაღლითობიდან, ხშირად აძევებდა ერთხელ მიცემულ სანადელო მიწა-ადგილიდან ნაყმევ-გლეხს და გლეხის მიერ გამშვენიერებულ ადგილის ნაცვლად მემამულე-მებატონე სხვა გაუშენებელ და რიყე ადგილებს აძლევდა გლეხს. გლეხ-კაცს ხმის ამოღება არ შეეძლო. მებატონე იყო აღვირ წახსნილი და თავის მამულის შესაერთებლად და გასამთლიანებლად აქუცმაცებდა და აოხრებდა გლეხ-კაცის ყოველგვარ კეთილდღეობას. ისტორია, ბ. გ. თუმანიშვილის და ტიხეევის მასალები თუ სხვა წყაროები, მოგვითხრობენ ანალოგიურ ყოვლად შეუწყნარებელსა და თავგასულს ფარფაშს თავადაზნაურობისას. შეუძლებლად მიგვაჩნია, სხვა და სხვა მოსაზრებათა გამო, ყველა ამ მასალების აქ მოყვანა. შეიძლება სხვა პირობებში შევასრულოთ ეს.

დამუშავებული სტატისტიკური ცნობები კი გვიჩვენებს, რომ თავადაზნაურობას თავიანთი მდგომარეობით მეტად უსარგებლიათ და გამოუყენებიათ დუშეთის მაზრაში, სადაც გლეხ-კაცის სახნავ-სათეს ადგილის ნაჭერი 0,47 დეს. უდრის' დუშეთს სიღნაღი მოსდევს (0,71 დეს.), სიღნაღს თიონეთი (0,87 დეს.) და შემდეგ გორი (0,83 დეს).

გლეხ-კაცობის მიწა-ადგილის ასეთმა მდგომარეობამ დიდი და გადამწყვეტი გავლენა იქონია მშრომელ ხალხის მომავალზე. ერთის მხრივ, ეკონომიური მოწყობილობა, მეორე მხრივ, სოციალური და პოლიტიკური სიდუხჭირე, ერთად შეზავებულნი გლეხის საშინელ ყოფას საფუძვლიანად ამკვიდრებდნენ და შემდეგ გაჰრიყავენ გლეხობას თავად-აზნაურობის მამულის მოძრაობიდან.

შემდეგ წერილში დროებით ვალდებულ გლეხის მდგომარეობის სხვა მხარეს შევეხებით.

**ფევდ. ღლონტი.**

*) იხ. „სახ. გაზ." № 726

1) სამწუხაროდ, ამ მხრივ ძლიერ მოიკოჭლებს ბ. ფ. გოგიჩაიშვილის შედგენილი სტატიკური კრებული. **ავტ.**

2) ძველ სტატისტიკურ კრებულებში კი სოფლების მიხედვით აგეთი საინტერესო ცნობები არის მოყვანილი. ის ცნობები ჩვენ „სახალხო გაზეთის" 1911 წლის ნომრებში უკვე გადავამუშავეთ და გამოვაქვეყნეთ. ახლა აღარ გავიმეორებთ. **ავტ.**

ველ ფეხის გადადგმაზე გაიგონებთ საყვედურს: აბანო კარგად ვერ არის მოწყობილიო.

აქ ჟურნალ-გაზეთებს იშვიათად შეხვდებით. ახლად მოსული თუ ჩამოიტანს ვინმე, თორემ გაზეთი არ მოდის, რადგანაც აქ რამოდენიმე დღით მოდიან, გაზეთის გამოწერა შეუძლებელია და ამის გამო მოწყვეტილნი ვართ ქვეყანას. აბანოს პატრონებმა მაინც უნდა გამოიწერონ ხოლმე გაზეთები, რომ წყლებზე მისულ სტუმრებს სულიერი საზრდოც არ დააკლონ. **ვ. ალათიშვილი.**

**ფშავ-ხევსურეთი.** ფშავ-ხევსურეთის საცხოვრებელს შეადგენს ცხვარი, მეწველი საქონელი, კარაქი და ერბო-ყველი. ხალხი ნიჭიერი და მხნეა. ფშავ-ხევსურეთი შეადგენს ცხრა საზოგადოებას. მასში სცხოვრობს რამოდენიმე ათასი სული. ამოდენა საზოგადოებაში მხოლოდ ერთად-ერთი სკოლაა, სოფ. ჩარგალში. ჩარგლის სკოლას არა აქვს თავისი საკუთარი შენობა, მოთავსებული არის დროებით კრებულის სახლში. წინედ ყოფილა ორი სკოლა, ერთი ბარისახოში (ხევსურეთში) და მეორე მაღაროს-კარში (ფშავ-შეთი) მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღ. საზ. მიერ აშენებული. მაგრამ ორივე გადამწვარა რაღაც გამოურკვეველ—მიზეზების გამო და დღემდე ორივე გაუქმებულია.

ხშირად შემხვედრია ლაპარაკი მთიულებთან, ფშავლებთან და ხევსურებთან, მიკითხავს: რატომ არა თხოულობთ, რომ დაგიარსონ სკოლები და თქვენი შვილები სკოლაში აღზარდოთ-მეთქი? უპასუხნიათ: შვილებს, რო ვასწავლოთ, მა'შ რა გვეშველების, ცხვარს, ძროხას და საქონელს ვინ მოუვლისო?

რასაკვირველია ხევსურები ქრისტიანები არიან, მათში არიან დანიშნული სასულიერო მთავრობისაგან მღვდლები ყოველ სოფელში გაორკეცებულის ჯამაგირით. ხევსური ძლიერ ძვირად თუ მიჰმართავს მღვდელს. მათა ჰყავთ თავიანთი ხევის ბერები, რომელიც უსრულებს მათ ყველა წესებს.

ფშავ-ხევსურეთი უფრო მთაკლდოვანი ადგილია, ხალხი მოშორებით ერთი-მეორეზე მოსახლეობს, ხევის პირად და მთებში, ეს ადგილები მოსავლელად ძლიერ ძნელია.

ხევსურეთი იყოფა ორ ნაწილად, პირ აქეთ და პირ იქით ხევსურეთი, ორთავეს ჰყოფს არხოტის მთა. დასთვის თუ არა არხოტის მთას, პირიქით ხევსურეთში ყოველივე მიმოსვლა შესწყდება. გზა-კვალი არსაიდან არის გადასასვლელი, თოვლი არხოტის მთაზე მოდის ხშირად ღვინობისთვის დამდეგს და აპრილ-მაისში თუ გალხვება.

როგორც მკითხველებს მოეხსენებათ ეკენისთვის გასულს ფშავ-ხევსურეთს ესტუმრა საეპარქიო სკოლების მეთვალყურე ვ. მალინოვსკი არხიტექტორი და ხუროთმოძღვარი და თიანეთის მაზრის სკოლების მეთვალყურე მ. ქინქველაძე. ბ. მალინოვსკის სიტყვით, ფშავ-ხევსურეთში ახლო მომავალში გაიხსნება ექვსი სასოფლო სკოლა. თუ მართლა ეს დაპირება გაგვიმართლდა დიდი ნუგეშია, თუმცა ადგილობრივი მცხოვრებნი, უმეტესად ხევსურები, არ შეხედავენ ამ მოვლენას კარგის თვალით. საჭირო იქნება მასწავლებელი მოთმინებით აღსავსე და ენერგიული.

ფშავ-ხევსურეთში არ არის არამც თუ საურმე გზა, საცალფეხო გზაც ცუდია და თუ არის ისიც საშიში, კლდოვანი ძლიერ ვიწრო.

ეს ორი თვე იქნება-რაც ფშავ-ხევსურეთში გაჩნდა სისხა. ბევრი ავადმყოფი უპატრონოდ კვდება, არსაიდგან დახმარება, არსაიდგან შველა. უკანა ფშავში არის ერთი საფერშლო პუნკტი, მაგრამ ის ვერ აკმაყოფილებს ადგილობრივ მოთხოვნილებას. იმასაც ასეთი სენისთვის წამლები არა აბადია რა. საჭირო ვისიც ჯერ-არს, მიაქციოს ყურადღება, და დაუნიშნოს ფშავ-ხევსურეთს ერთი ექიმი მაინც.

პეტერბურგიდგან მოსულმა ინჟენერებმა საუღელტეხილო რკინის გზის გამოკვლევა დასრულეს და ეკენისთვის გასულს პეტერბურგს გაემგზავრნენ. ხმები დადის ინჟენერი კომბინადძეი სცდილობს დაჩქარებით დაამზადოს მოხსენება საუღელტეხილო გზის შესახებ რათა განსახილველად წარედგინოს მეოთხე სათათბიროს. **გ. შანიძე.**

## მელოდია

საშემოდგომო.

შემოდგომის
ქარი ჰქრის,
წვიმს,—ცა თითქოს
ცრემლებს ღვრის...

—

მთის კალთებზე
ნისლი სტირს,
მიორკეცებს
სევდა-ჭირს...

—

ხეებს ფოთლები
სცვივათ,
სცვივათ ბეღურებს,
სცვივათ...

—

ხევში წყარო
კისკისებს,
ისიც სევდით
გულს მივსებს.

—

ჩემო ტურფა
ბუნებავ,
ნუ სტირ,
ნუ იცრემლები;
კვლავ
გაგიზაფხულდება
მეც თავს
შემოგევლები.

## სატრფოს

სად ხარ, სადა,
სულზე ტკბილო,
გაფურჩქვნილო
ვარდის ცრემლზე;
ჩემსკენ რბოდე,
ჩემსკენ ჰქროდე,
სასურველო სასურველზე.

—

ტიალ მინდვრად,
ტიალ ცის ქვეშ,
ვწევარ ნისლის სარეცელზე.
სიცოცხლეს ვთმობ
და შენ გიხმობ—
მიმინელე ბროლის ხელზე.

—

მტრის მოზიდულ
ნატყორცნ ისრით
დაკოდილი ვგდივარ ველზე;
შენთვის ვბრძოდი,
შენთვის ვკვდები,
„საყვარელო საყვარელზე".

**გ. ქურიშვილი.**

## პატარა ფელეტონი

## სიცოცხლე სამშობლოს

(საქართველოს ახალ შემოქმედთ).

დიდი ხანია, რაც არჩილს მისი „მე" იწვევს შემოქმედებად!

მას, მაშინაც, როცა იგი მუსიკას სწავლობდა საზღვარ-გარედ და სამშობლოს ღვიძლის ნიადაგს დაშორებული იყო, იდუმალი ხმა დაჟინებით ჩასჩურჩულებდა დიადს საქმეებს, დიადს ჰაზრებსა და გრძნობებს! არჩილიც ნასკვავდა იდუმალის ხმის თქმათ საიდუმლო კვანძად და უჩინრად დაატარებდა მას გულის მიუვალს სიღრმეში. მისი პირის სახე და თვალები ნათლად მოწმობდნენ იმას, რომ არჩილში ღამობდა განსახიერების ის დიადი ძალა, რომელიც საუკუნოებით იქმნება ხოლმე ერის სულიერს სალაროში, რომელიც არსებითად უდრის შემოქმედის პირველმყოფელს ნებას, ნებას უნივერსალურს და განსრულებულს!! არჩილის გონება განცვიფრებაში მოჰყავდა ამ ძალას, როცა მისი ძახილი მოისმებოდა და მთელს არსებას აუნთებდა, აურევდა გრძნობათ, მოსწყვეტდა აწმყოს და შეუმცნებელს, უტან-სხეულოდ არსებულს რაღაცას უერთებდა. მაშინ ცნობიერების გარეშე მყოფი არჩილი უსაზღვრო დროის უძირ-უკიდოო სივრცეში დაექანებოდა და, ჯერ კიდე მისთვის გაურკვეველი ჰანგ-ხატებებით გარემოცული, ინსტიქტიურად დაეძებდა ქვეყნის ჰენიას!!..

ამნაირად ენთებოდა არჩილში ცეცხლი, რომლის ალი უკვდავების მოძრავ ძეგლად უნდა ამართულიყო მისით განათებულს ქვეყანაზე...

ამნაირად გზას იკვლევდა გამოაშკარავებელად ერის სული, რომელსაც უთვალავ საუკუნეთა განმავლობაში ვერ მოენახა შესაფერი სახე, შესაფერი ხატება თავისის უძირობელის სიღრმისა და დიადობისა! და ეს ლტოლვა დასაბამიდან არსებული, ეს უჩინარი არსი ყოფნისა უბედობედს გადაკიდებულის ერის გრდემლზე იჭედებოდა და ყოველს წამს მოელოდა განსრულებულად ჩამოყალიბებას!!

ყურები სცქვიტა არჩილის გულმა! იდუმალების უფსკრულთ მიწვენილს სმენას ღრმად ჩაეწერა ერის ჰაზრთა და ცდათა ნათხზავი, ერთს მთავარს ჰანგში გამოსახული".

. . . . . . . . . . . . . . . . .

დაჰრეკა ჟამმაც, და მის რეკაში გაისმა ლოდინით ათრთოლებულის ქვეყნის ჰენიას ცხოველ-მყოფელი ხმა! დაირღვა ათასოვან წელთა გულჩათხრობილი დუმილი! გაჰქანდნენ საუკუნენი, ამეტყველდნენ ურიცხვუთვალავნი წელნი, დროთა სწრაფლ სრბოლვის ქვეშ მოქცეულნი, მოსცილდნენ დროსა და სივრცის საზღვართ, ერთიქმნენ და ამ ხმაში გამოჰხატეს ხანგრძლივ არსებობის დედა-ჰაზრი!!..

დანაპერწკალდა ჰენიას ხმა, კიდით-კიდე განიბნია ქვეყნის ზედაპირზე და ყოველს ასმინა თავის მოვლინება!

ცა გაიხსნა და ფირუზოვან გუმბათზე სამარადისო ნათელ სხივებით გამოხატა: „სიცოცხლე სამშობლოს".

**ლეო ქიაჩელი.**

## სენატის დადგენილება

### სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატთა პასუხისმგებლობის თაობაზე.

დ ე პ ე შ ა).

15 ღვინობისთვეს უმართებულესი სენატის საკასაციო დეპარტამენტმა განიხილა იუსტიციის მინისტრის მიერ წარდგენილი მოხსენება: 1) მიეცეს თუ არა სისხლის სამართალში სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატი სათათბიროს ტრიბუნაზე წარმოთქმულ სიტყვის ან კომისიებში გამოთქმულ აზრისათვის, თუ იგი არსებითად დანაშაულობას შეიცავს. 2) პასუხისმგებელია თუ არა უმაღლეს სისხლის სამართლის წინაშე დეპუტატი, თუ მონაწილეობის ასრულების დროს, ან და მოვალეობის ასრულების გამო, რაიმე ბოროტმოქმედება ჩაიდინა. იქნებ დეპუტატი მხოლოდ იმ ბოროტმოქმედების გამო არის პასუხისმგებელი, რასაც კანონი ჰგმობს და რაც არის მოხსენებული სასჯელთა დებულებაში. 3) თუ დეპუტატი მხოლოდ იმ შემთხვევაში არის პასუხისმგებელი, როცა იგი ჩაიდენს კანონით აკრძალულს ბოროტმოქმედებას, ამ შემთხვევაში უნდა ეცნობოს თუ არა სახელმწიფო საბჭოს პირველ დეპარტამენტს განსახილველად მისი ბოროტმოქმედება, ჩადენილი მოვალეობის ასრულების დროს, ან და მოვალეობის ასრულების გამო.

4) თუ სახელმწიფო სათათბიროს წევრი პასუხის მგებელია უმაღლეს სისხლის სამართლის წინაშე მოვალეობის ასრულებისა თუ მოვალეობის ასრულების გამო, ჩადენილ ბოროტმოქმედებათათვის; მაშინ მიღებულ უნდა იქმნას თუ არა დადგენილებანი 91, 92, 95 სახელმწიფო საბჭოს დაწესებულებისა და სისხლის სამართლის დებულების მე-1112 მუხლი. ბრალდებულის მეთვალყურობით უნდა გადაეცეს კერძო ხასიათის დანაშაულობანი თუ არა. უმართებულესმა სენატმა განიხილა ეს საკითხები მეორე კითხვის პასუხად და დაადგინა: სახელმწიფო საბჭოს წევრი პასუხისმგებელია უმაღლეს სისხლის სამართლის წინაშე დანაშაულობის ჩადენისთვის მოვალეობის ასრულების დროს, თუ მოვალეობის ასრულების გამო. მეოთხე საკითხის პირველი მუხლის გამო სენატმა დაადგინა: იხელმძღვანელონ დეპუტატის საქმის გარჩევის დროს სახელმწიფო საბჭოს 91, 92, 95 მუხლის დადგენილებით. აგრეთვე ბრალმდებელის მეთვალყურობით განიხილოს საქმე კერძო ხასიათისა, კერძო თაოსნობით აღძრული.

# ბალკანეთის ომი

### დ ე პ ე შ ე ბ ი.

**ბულგარეთის მხრით.**

**სოფია.** მუშმაკლის რაიონში ბულგარებმა 270 თოფი და სამხრო სურსათი ხელთ იგდეს. ტყვედ წაიყვანეს 70 ოსმალო: ადრიანოპოლთან მდგომარეობა არ შეცვლილა. ოსმალებმა, რამდენჯერმე მოატყუეს ბულგარები: აფრიალებდნენ თეთრ ბაირაღს და ბულგარების მიახლოვებისას სროლას აუტეხდნენ ხოლმე. ამით ბულგარეთის ჯარი შეასუსტეს. ბულგარებმა აღმოაჩინეს იარაღის ორი საწყობი ადრიანოპოლსა და კირ-კილისეს შორის.

**სოფია.** „მირი" სწერს, რომ კოჩანთან სისხლის მღვრელი ბრძოლა გაგრძელდა 3 დღეს და ღამეს. ოსმალეთის 12 ბატალიონს იშტიბიდან მიეშველა ჯარი. ხიშტებით ბრძოლის შემდეგ ოსმალები ბულგარებმა უკუაქციეს. ოსმალებმა 200 ბულგარი შეიპყრეს ტყვედ. ბულგარებმა ტყვენი გაანთავისუფლეს.

**ბელგრადი.** ველესი აღებულია. ოსმალები უწესრიგოდ უკან იწევენ. პრილეპისაკენ და ბიტოლიისაკენ მიდის ოსმალეთის ჯარი.

**ბელგრადი.** კნეინა ელენე საავადმყოფოთი ბელგარიდან წავიდა.

**ბელგრადი.** ოფიციალი გაზეთი „სამოუპრავა" სწერს „ნუ თუ ევროპა ეხლა, როდესაც ქრისტიანთა სისხლი დაიღვარა, როდესაც ქრისტიანი მცხოვრებნი ოსმალეთის სიმხეცის მსხვერპლად შეიქნენ გაჰბედავს და ილაპარაკებს ბალკანეთის „სტატუს-ქვო" თაობაზე? შეუძლებელია კაცთმოყვარე. ევროპამ ოსმალეთს დაკარგული პროვინციები დაუბრუნოს, ისინი კულტუროსან კაცობრიობის წყევლას და კრულვას დაიმსახურებენ!"

**ბელგრადის.** რკინის გზა კუმანოვო—ველეს დაზიანებული არ არის. ოსმალეთის აფიცერმა მოჰკლა ჯავედ-ფაშა, რადგანაც ფაშა უსკიუბის დაცვის გაგრძელებას მოითხოვდა სერბიის ჯარი კასოვიდან პრელეპ-პიტკინს მიდის.

**ვრანიე.** ოსმალებმა უკან დაწევის დროს დასტოვეს კიდევ 30 ზარბაზანი.

**ვრანიე.** უსკიუბში იმყოფებოდა ოსმალეთის ბიტლიის ჯარი. ამ ჯარმა დასტოვა უსკიუბი. კოჩანიკში იმყოფება 1000 არნაუტი.

**საბერძნეთის და ჩერნოგორიის მხრით.**

**ცეტინიე.** ჩერნოგორიის ჯარის მარჯვენა ფრთამ ხელთ-იგდო მარჯვე პოზიცია ტარაბოშის მახლობლად.

**ათინა.** დილით ბერძნებმა ტიპოტამოსი აიღეს. ტიპოტამოსი სალონიკის გზაზე დევს. ოსმალები ბაშიბუზუკების დახმარებით ანადგურებენ სოფლებს. ეპირსა და იანინის ოლქში მოკლეს, იანინის ეპისკოპოზი.

**ათინა.** მეფემ დეპეშა გაუგზავნა ვენიზელოსს: „არმიის მარცხენა ფრთამ მოწინაღმდეგე დაამარცხა. ნალბანდიონი ცხარე ბრძოლის შემდეგ აიღეს. გადმომცეს ოსმალეთის ბატალიონის ორი დროშა. დაჭერილი არის 100 კაცზე მეტი",

**ცეტინიე.** გუშინ ჩერნოგორელებმა ხელსაყრელი პოზიციები დაიჭირეს კირის მიდამოებზე, სკუტარის მახლობლად.

**კოჟანი.** პოლკოვნიკი ლიდერი ტელეგრაფით იტყობინება, რომ ვერია უბრძოლველად ბერძნებმა აიღესო. მატარებლის მიმოსვლა ვერიასა და მონასტერის შუა არა სწარმოებს.

**ათინა.** ბერძნების დედოფალი მივიდა ველოში, და საავადმყოფოები ინახულა. გერმანიიდან ჩამოვიდა მემკვიდრე პრინცი ალექსანდრე იანინაში. ქალები და ბავშვები ოსმალებმა აწამეს ეპირში. 20 სოფელი გადასწვეს. მცხოვრებნი არტუში მიდიან: ოსმალებს უთქვამთ „ეპირს უდაბნოდ ვაქცევთ, სანამ ბერძები ხელში ჩაიგდებენო".

**სარაევო.** ჩერნოგორელებმა რომ პლევლიე აიღეს, 1.400 ოსმალო ბოსნიაში გაიქცა. მათ შორის ოსმალეთის მაიორიც არის.

**ოსმალეთის მხრით.**

**სტამბოლი.** ქიამილ-ფაშა დაინიშნა დიდ-ვეზირად. საზღვაო მინისტრის გარდა ყველა თავის თანამდებობაზეა, მეფე თვის ბძანებაში სწერს ქიამილ-ფაშას: ყოველი ღონე იხმარეთ წესრიგი ჯარში დაიცვათ, რათა ოსმალეთის ინტერესები დაცული იქნას". გაზეთი „სენინი", რომელიც წინად „ტანინის" სახელით გამოდიოდა დაკეტეს. გამოვა ეხლა „საკის" სახელით.

**სტამბოლი.** 16 ღვინობისთვეს, შუადღისას ფიცხელი ბრძოლა გაჩაღდა.

**სტამბოლი.** ოფიციალურის ცნობით, ოსმალეთის ჯარი კირკ-კლილისიდან მარაშამდე იერიშით მიდის ბულგარებზე. ბულგარები უკან იწევენ. (სტამბოლი?) ბულგარების წინააღმდეგ ხალხი ძლიერ ამხედრებულია. ბულგარები თურმე დაჭრილ ოსმალოებს ჰხოცენ. გუშინ შეიპყრეს 30 ოსმალოს ქვეშევრდომი ბულგარი, როდესაც ისინი რკინის გზის ლიანდაგსა ჰშლიდნენ.

**სტამბოლი.** ოსმალეთის სააგენტო იუწყება, რომ 16 ღვინობისთვეს, ჩერკესკიოში ბრძოლის დროს, მაჰმუდ-მუხტარ-ფაშის დივიზიამ ბულგარები დაამარცხაო. გამარჯვების გამო სტამბოლში აუწერელი სიხარულია.

**სტამბოლი.** ნაზი-ფაშის დეპეშა ოსმალეთის გაზეთებმა გამოაქვეყნეს: ბრძოლა ვიზისა და ლიულე-ბურგასის რაიონში დაწყებული ეხლაც სწარმოებს. ჯარის მდგომარეობა უმჯობესდება, გამარჯვების იმედი გვაქვს".

საბერძნეთის ესკადრა დაეცა ტენედოს, თაზოს და სარანდოს.

**ომი და სახელმწიფონი**

**რომი.** ბალკანეთიდან დაბრუნდა დეპუტატი კიზეზა. მისის აზრით სრულიად უსარგებლოა მოხალისეთა რაზმების გაგზავნა ბალკანეთის ძლევა-მოსილ კავშირის საშველად. ისინი ისედაც გამარჯვებულნი არიანო.

**ლონდონი.** სახელმწიფოებს ენერგიული მოლაპარაკება აქვთ გამართული ბალკანეთის საქმეების გამო. საქმეში ჩარევა შეუძლებელია, სანამ გადამწყვეტი ბრძოლა არ მოხდებაო.

**ვენა.** „ფრემდენბლატი" სწერს:

ბალკანეთში მარტო ბალკანეთის სახელმწიფოებს კი არ აქვთ ინტერესები, არამედ რუმინიას და სხვა სახელმწიფოებსაც. ამ ინტერესების უზრუნველყოფა არის „სტატუს-ქვო", რომელსაც მთელი ევროპა უნდა იცავდესო.

**ბუდაპეშტი.** „ბუდაპეშტი-ნაპლო" სწერს: „ოსმალეთის ბედმა უნდა შეაფიქროს ავსტრია-ჰუნგრეთიო. თუ გამარჯვებულებმა სტამბოლამდე მიაღწიეს, ძალთა თანასწორობა დაირღვევაო. გამარჯვებულნი არ შესდგებიან და ოსმალეთის რიგი ავსტრიაზე მიდგებაო.

**ვენა.** გაზეთები აღნიშნავენ საჭიროებას, რომ ბალკანეთის მიწა-წყლის მომავალი ცვლილება უნდა მივიღოთ და ხელ-მეორედ გადაიშინჯოს ბალკანეთის და ავსტრიის ურთიერთობაო. „ნეი-ფრეი-პრესე" სწერს: ავსტრიისთვის გამოურკვეველია საკითხი, სხვა სახელმწიფოებს მიუდგეს ბალკანეთის საქმეებში, თუ სხვაზე დამოუკიდებლად იმოქმედოს თვისი ინტერესების დასაცავადო. საკითხია გაჰყვეს თუ არა ბალკანეთის კავშირს, თუ ამ კავშირის წინააღმდეგ იმოქმედოსო? ავსტრიის მწვავე საკითხი სერბიის საქმეა. შესაძლებელია ვენისა და ბელგრადის მორიგება სხვა სახელმწიფოების დაუხმარებლივ. ავსტრია, თუ ბალკანეთის წინააღმდეგ იმოქმედებს, ღონისძიება ეკარგება კულტურა და განათლება შეიტანოს აღმოსავლეთში. ამისთვის გაზეთს ერთად-ერთ საშუალებად მიაჩნია ბალკანეთთან ავსტრიის კეთილი განწყობილება.

**რომი.** „ტრიბუნა" აღფრთოვანებულ წერილს სწერს, ბალკანეთის სლავიანების გამარჯვების გამო. სლავიანთა გამარჯვება ოსმალეთის ისტორიის უკანასკნელ დღეს მოასწავებსო.

**პრაგა.** სავაჭრო პალატა პეშტსა და ლიბერცში, მოვალედ სთვლის თავს მეგობრული ურთიერთობა იქონიოს ბალკანეთის სლავიანებთან.

**ბერლინი.** სტამბოლიდან ველფს ტელეგრაფით ატყობინებენ, ოსმალეთის მთავრობის თხოვნით, გერმანიის სამხედრო გემი „ლორელეი" სალონიკში წავიდა. ვინიცობაა აბდულ-ჰამიდს რაიმე საფთხე გამოუჩნდება სალონიკში, გემი „ლორელეი" სტამბოლში მიიყვანს აბდულს.

**გაზეთებიდან.**

**ბულგარეთის მხრით**

**ადრიანოპოლის ალყა.**

ბერლინიდან იუწყებიან: ადრიანოპოლი იწვის. დღე-ღამის განმავლობაში გაცხარებული ბრძოლაა. დანაკლისი ორივე მხრით დიდია. ბულგარებმა, მიუხედავად ოსმალთა მამაცურ წინააღმდეგობისა, აიღეს სიმაგრეები: გავარახი, სულიხანი და მარაში. ქალაქის დამხობას წუთი-წუთზე ელიან.

**ბულგართა ალაფი.**

იაროშთან ბრძოლაში ოსმალებს მოუკლეს 3000, დაუჭრეს 1000, ტყვედ წაიყვანეს 500 კაცი. ბულგარებმა ხელთ იგდეს 3 ჩქარ-მსროლელი ზარბაზანი, 12 ურემი ყუმბარა, ხოლო კირჯალის ბრძოლაში—ერთი მილიონი პატრონა, 40 ყუთი ყუმბარა, 18.000 ოყა (ოყა სამი გირვანქაა) ფქვილი, 60.000 ოყა ხორბალი.

**მუხტარ-ფაშის ჯარს გზა მოუჭრეს.**

„ვიენერ ალგ. ცეიტ". ატყობინებენ: კირკილისედან გაქცეულს, მუხტარ-ფაშის (დიდი ვეზირის შვილია) ჯარს ბულგარები სოფ. ვიზის ახლოს შემოერტყნენ. მისი მდგომარეობა უმწეოა. ან უნდა დაჰნებდეს, ან გასწყდეს.

**პეშხევის აღება.**

ბულგარეთის დასავლეთის ჯარმა აიღო ქ. პეხშევი, რაც სტრუმიცისაკენ გზას უხსნის. ოსმალთა სისუსტე ერთი მხრით იმ გარემოებითაც იხსნება, რომ მის ჯარში, ბევრი ქრისტიანია, რომელნიც ბრძოლის შემთხვევაში [illegible] მტერს მხარეს გადადიან.

**საპატიო ტყვეები.**

„ცეიტი" სწერს: კირკილისეს ბრძოლაში დატყვევებულთა შორის არიან: საზღვაო მინისტრი მუხტარ-ფაშა და პრინცი აბდულ-ქალილი.

**კირკილისეს ბრძოლის შედეგი.**

ოფიციალურად იუწყებიან, რომ კირკილისეს აღების შემდეგ, ბულგარებს წაურთმევიათ 58 ზარბაზანი, მათ შორის 12 მძიმე საციხოვნო, 2 მზა ჰაეროპლანი, 100 ყუთი, ყუმბარებით სავსე და მრავალი სამხედრო სურსათი, აგრეთვე მუხტარ-ფაშის საკუთარი ნივთები.

**სერბიის მხრით.**

**ვუჩიტრნისა და მიტროვიცის აღება.**

გენ. იანკოვიჩის ჯარმა აიღო ვუჩიტრნი და მიტროვიცა.

**იშტიბის აღება.**

სამხრეთის ჯარმა გენ. სტეპანოვიჩის მეთაურობით, ცხარე ბრძოლის შემდეგ, იშტიბი აიღო.

**უსკიუბის აღება.**

ოსმალები თავზარდაცემულნი უსკიუბიდან გაიქცნენ. დასტოვეს საუკეთესო ზარბაზნები და ციხეები. სერბიელები, მემკვიდრე ალექსანდრეს მეთაურობით, უბრძოლველად შევიდნენ ქალაქში. კონსულები და მცხოვრებნი აღფრთოვანებით მიეგებენ გამარჯვებულთ. სერბიელებს დარჩათ: 55 ჩქარი-მსროლელი ზარბაზანი, 6 სამთო, 12 ტყვიის მფრქვეველი და 80 დიდი კარავი.

**მეფე-ლაზარეს საფლავზე.**

მეფე ლაზარეს საფლავს, რომელიც კოსოვოს ბრძოლაში ხუთასი წლის წინად მოჰკლეს, სერბიელებმა საპატიო დარაჯი დააყენეს.

**ჩერნოგორიის მხრივ.**

სკუტარის წინააღმდეგ მიმართული იერიში არა სცხრება. ქალაქში ბევრმა გამოჰკიდა თეთრი ბაირაღი, მაგრამ მეციხოვნე ჯარი იარაღის დაყრაზე მაინც უარს ამბობს.

**სერბიისა და ჩერნოგორიის ჯარის შეერთება.**

სენიცის ახლოს შეერთდა სერბიისა და ჩერნოგორიის ჯარი, დიდად გრძნობიერი იყო მათი შეხვედრა: აფიცრები და ჯარისკაცები ერთმანეთს ეხვეოდნენ. ადგილობრივი მცხოვრებნი მეტის სიხარულით სტიროდნენ.

**საბერძნეთის მხრივ.**

„ეშანე ტელეგრაფ"-ის ცნობით, საბერძნეთის ორმა დივიზიამ კოჟანი რომ დაიჭირა, ოსმალები ჩრდილოეთით ვერიამდე გარეკა.

**საბერძნეთის ფლოტი.**

საბერძნეთის ფლოტმა კუნძული თაზოსი დაიპყრო (სალონიკის ყურეშია) და ჯარი გადასხა.

**ეპირის საომარ ასპარეზზე.**

ოსმალებმა, სამი დღის ცხარე ბრძოლის შემდეგ, მიატოვეს ქ. კიაფი. საბერძნეთის ჯარი ფილიპიადისა და სტრიმნისკენ მიდის.

**ოსმალთა მხეცობა.**

არტიდან იტყობინებიან, რომ ოსმალთა ჯარს თან დასდევს ალბანელების ბრბო, რომელიც, ჯარის უკან დახევის შემდეგ, მშვიდობიან მცხოვრებთ ჟლეტენ და სოფლებს სწვავენ.

**ომი და სახელმწიფოები.**

**რუსეთში**

„რუსკოე სლოვო"-ს პეტერბურგიდან ატყობინებენ: ავსტრიისა და იტალიის შეთანხმება ალბანეთის თაობაზე უკვე ფაქტია. იგი ამტკიცებს, რომ ორივე სახელმწიფომ შეიმუშავა საერთო გეგმა ოსმალეთის მოსალოდნელ დაყოფისათვის. არის აგრეთვე ცნობა, რომ ასეთივე მოლაპარაკება სწარმოებს გერმანიისა, ავსტრიასა და იტალიის შორის. მაშინ, როდესაც სამთა კავშირი რეალურად ანგარიშს უწევს ბალკანეთის ტერიტორიის მოსალოდნელ ცვლილებას, ინგლისი და საფრანგეთი ს. საზონოვის დახმარებით კონფერენციის პროექტის შემუშავებისათვის ზრუნავენ. სამთა შეთანხმების სახელმწიფოთა შორის ჯერ ლაპარაკიც კი არ ყოფილა იმის თაობაზე, თუ რა გზას დაადგებიან ინგლისი, საფრანგეთი და რუსეთი ოსმალეთის მოსალოდნელ დამხობის დროს.

**ავსტრიაში.**

გაზ. „რეიხსპოსტი" სწერს: status quo მოკვდა. ვერავითარი დიპლომატია მას ველარ აღადგენს. სისხლი ყველაზე უფრო ძვირფასია, რას შეწირავაც კი სახელმწიფოს შეუძლიან. ასეთ მსხვერპლის წინაშე ყველა თავს იხრის. ავსტრია დიდხანს სწირავდა მსხვერპლს status quo ს. ოსმალეთის

განადგურება საშუალებას მისცემს ავსტრიას, თავიდან ის ევროპიული თილისმა თავიდან მოიშოროს გაზეთი ადასტურებს, რომ სერბიისა და ჩერნოგორიის მუდმივი მისწრაფება ტერიტორიის გაფართოებისაკენ, დღეს განსახორციელებელი საქმეა. ავსტრიის ცხოვრების ინტარესების შეთანხმება ბალკანეთი ახალ ძალასთან არც ისე შეუძლებელი რამ არის.

**გერმანიაში.**

გერმანიის პრესა აღნიშნავს, რომ ბალკანეთის კავშირის გამარჯვება ერთის მხრით მის პრესტიჟს აამაღლებს, ხოლო მეორეს მხრით status quo-ს დაცვის საშუალებას მეტად ასუსტებს, ამიტომ იგი დაჟინებით მოითხოვს ევროპის კონფერენციის მოწვევას. პოლიტიკურ სფეროებში კი კონფერენციის მოწვევა ჯერ ნაადრევად მიაჩნიათ.

# დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტო)

**საზღვარ-გარედ**

18 ოქტომბერი.

**ელჩის დატუსაღება.**

**ვაშინგტონი.** მერედში, იუკატანის პროვინციაში დაატუსაღეს ბელგიის ელჩი, რომელსაც მეამბოხეთა წაქეზებას აბრალებენ.

**ბუქარესტი.** ორივე პალატა დათხოვნილია. დანიშნულია ახალი არჩევნები. გიორგობისთვის დამლევს ახალი პარლამენტი გაიღება.

**სან-ანტონიო.** სანტა-როცაში ცეცხლით გადაიბუგა საავადმყოფო. დაიწვა 6 სათნოების და და ერთი ბავშვი.

**მადრიდი.** მეფე ავად გახდა.

**ლონდონი.** ასკვიტმა პალატაში განაცხადა, რომ ირლანდიის სენატში გახსნილი ადგილი დაიხაფრება საპროპორციო არჩევნებით, და არა მთავრობის დანიშვნით, როგორც წინად ვფიქრობდითო.

**რ უ ს ე თ ი**

**მემკვიდრის ავადმყოფობა.**

**პეტერბურგი.** ბიულეტენი მემკვიდრის ავადმყოფობისა. 17 ოქტომბერი. დილის 10 საათი. ეძინა კარგა. კარგ გუნებაზე გაიღვიძა. ძალა შესამჩნევად ემატება. დილით სიცხე 37,1 გრადუსი ჰქონდა, მაჯის-ცემა 112.

**პეტერბურგი.** ბიულეტენი მემკვიდრის ავადმყოფობისა. 17 ღვინობისთვე. საღამოს შვიდი საათი. დღე გუშინდელივით გაატარა. მადა კარგი აქვს. სიცხე დილისით 37,0 გრ., საღამოთი 37,2 გრ. ჰქონდა. მაჯისცემა 112.

**პეტერბურგი.** მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე კოკოვცევი სპალაში წავიდა. საბლერი სპალიდან დაბრუნდა. სახალხო განათლების მინისტრი ითხოვს 1913 წლისთვის დამატებითი ასიგნაციას 300.000 მ. საქალაქო სასწავლებლებისთვის.

# უცხოეთი

**ომის საწინაღმდეგო მიტინგი ბერლინში.**

„რუსკია ვედომოსტის“ კორესპონდენტი ბერლინიდან იუწყება, რომ იქ ერთ უზარმაზარ მოედანზე აუარებელ ხალხის თანადასწრებით მიტინგი გაიმართა. უმეტესი ნაწილი მუშები იყვნენ; შავით მოსილი ხალხი სამგლოვიარო პროცესიას ემსგავსებოდა. შავი ფერი, ბალკანეთში დანთხეულ სისხლის საწინააღმდეგო ფერად გამოიყენეს. ყოველ მხრით მჭერმეტყველნი სიტყვას ამბობდნენ; სიტყვები სხვა და სხვა შინაარსისა იყო, მაგრამ მიზანი კი ერთი ჰქონდა, რაც ამ მსაფეროვან ხალხს აერთებდა. ეს იყო სიტყვა—„ძირს ომი, ძირს სისხლის ღვრა! გაუმარჯოს მშვიდობას და ბედნიერებასო!“

**ოსმალეთის გარეშე საქმეთა მინისტრის აზრი ბალკანეთის ჯვაროსანთა კავშირის თაობაზე.**

ავსტრიის გაზეთებში ოსმალეთის გარეშე საქმეთა მინისტრის ფრიად საინტერესო აზრი იყო გამოქვეყნებული ბალკანეთის სახელმწიფოების მიერ გავრცელებულ ხმების თაობაზე, ვითომდა მათი ბრძოლა იყოს ბრძოლა ჯვარისა და ნახევარ მთვარის შუა, თითქოს საქრისტიანო ქვეყანა ეომებოდეს ისლამსო. ნორადუნგიანი —სარწმუნოებით ქრისტიანი და ეროვნებით სომეხი,—ექვობს, რომ მართლაც ეს ომი ჯვაროსნური ომი იყოს. ბალკანეთის სახელმწიფოებმა ამ ბრძოლას სარწმუნოების ხასიათი ტყუილად მისცესო. ტყუილადვე ავრცელებდნენ ხმებს, ვითომც ოსმალები აწიოკებენ და არბევენ ქრისტიანებსო. ამით მხოლოდ ორი მიზნისთვის უნდოდათ მიეღწიათ: ჯარი წაექეზებინათ და ევროპის თვალში თანაგრძნობა დაემსახურებინათ. ოსმალეთის ჯარი არ არბევს და არ აწიოკებს ქრისტიანებს. ოსმალეთი იცავს თავის ღირსებას და სახელს, რომელიც მისთვის უნდა წაერთვათო,—დაასრულა ნორადუნგიანმა.

**ბერტჰოლდი იტალიაში.**

ბერტჰოლდის გამგზავრებას იტალიაში იქაური პრესა დიდ მნიშვნელობას აწერს. „პოპულო რომანო“ სწერს: სიხარულით აღვნიშნავთ იმ პატივისცემას, რომლითაც იტალია დაუხვდა ავსტრიის გარეშე საქმეთა მინისტრს. ბერტჰოლდი ომის დაწყებიდან გათავებამდე დიდის თანაგრძნობით ეკიდებოდა იტალიასო. სახელმწიფოთა ორ კავშირზეა დამოკიდებული ევროპის სიმშვიდე და თანასწორობა. თუ რაიმე ცვლილება მოხდა რომელიმე კავშირთაგანში, ეს სიმშვიდე დაირღვევაო. ამისთვის საჭიროა იტალია და ავსტრია—ჰუნგრეთი ერთგულ მეგობრებად იყვნენ სამთა კავშირის პოლიტიკისაო“. ბერტჰოლდის სან-როსაროში მოლაპარაკების დროს იტალიას უკისრნია მოეწესრიგებინა ბალკანეთის საქმეების გამო რუსეთისა და ავსტრია-ჰუნგრეთის აწეწილი ურთიერთობა. იტალიის სხვა გაზეთები აღნიშნავენ ავსტრია-ჰუნგრეთის და იტალიის მისწრაფების სხვა და სხვაობას ბალკანეთის საქმეში.

# თეატრი და ხელოვნება

ხვალ, 20 ოქტომბერს. ქართულ თეატრში გაიმართება **კ. გ. ფოცხვერაშვილის ქართული კონცერტი.** პროგრამა საინტერესოდ არის შედგენილი და იმედია ქართველი საზოგადოება დაესწრება კონცერტს. ბევრსა ჰგონია, ვითომც რომ კლუბში შესასვლელი ფასი ცალკეა, ამიტომ გთხოვენ აღვნიშნოთ, რომ კონცერტზე დასასწრებლად კლუბში შესვლის ფასის გადახდა არ არის საჭირო.

**ჭიათურა.** კვირას, 14 ოქტომბერს, სცენის მოყვარე მ. ჰანიშვილის რეჟისორობით, წარმოადგინეს პიესა „ბრჭყალები“—თარ. ი. მაჭავარიანისა; წარმოდგენაში მონაწილეობას ღებულობდნენ ადგილობრივი სცენის მოყვარენი. პიესის უმთავრეს როლს ქ-ნი ნ. საღირაძე ასრულებდა (ირინე). ირინეს როლი რთული, საძნელო როლია, მაგრამ, ამისდა მიუხედავად ჯერ კიდევ ახალზაზდა მოთამაშემ იმდენად სძლია ის, რომ საზოგადოება, ცოტად თუ ბევრად, ნასიამოვნები დარჩა. დარწმუნებული ვართ, აქაურ სცენას განსაკუთრებული, სპეციალური რეჟისორი რომ ჰყავდეს, ადგილობრივ სცენის მოყვარენი უფრო შეგნებულად და კარგად შეასრულებდნენ თავიანთ ვალდებულებას. მარიამის როლში ქ-ნი ღოლობერიძე გამოვიდა. ეს როლი იმდენად რთული და საძნელო არ არის, როგორც როლი ირინესი, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ღოლობერიძის შესახებ ჩვენ მაინც იმას ვერ ვიტყვით, რაც საღირაძის შესახებ ვთქვით. მარიამის როლი ღოლობერიძეს უფრო დაზეპირებული ჰქონდა, ვიდრე შეგნებული. მისი ლაპარაკი თავიდან ბოლომდე მონოტონური იყო, ერთ ფეროვანი! არავითარი ცვლილება მას არ ემჩნეოდა, მაშინაც კი, როცა წარმოდგენის ამა თუ იმ მომენტში ბუნებრივად საჭირო იყო მოთამაშის სულიერ განცდის გამოჩენა! ამიტომაც მისი თამაში მოსაწყენი იყო მსმენელთათვის.

შეგნებულ ად ჩაატარა თავისი როლი მ. ჰანტურიშვილმა (ფერგანი), თუმც მესამე მოქმედებაში მთლად ვერ შესძლო შერცხვენილ ქმრის სულიერი დრამა გადმოეცა. ძალდატანებული იყო მისი სულიერი განცდა. **ვანელს** (მიხეილ დავერნიე) უფრო მეტი სულიერი მოძრაობა უნდა გამოსჩენოდა; მას უყვარს ირინე, ირინესაც უყვარს ის და ამიტომაც მისი გადაჭარბებული სანტიმენტალობა და რაღაც გაუბედაობა ირინეს წინაშე, კარგ შთაბეჭდილებას ვერ ახდენდა მსმენელებზე. ემჩნეოდა კი, რომ როლი რამდენიმედ შეგნებული ჰქონდა. თავისი როლი კარგად იცოდა პეტრემ (ვალანტონ), მაგრამ მარტო სიტყვები არ კმარა თამაშისათვის. როლის აზრიც უნდა ესმოდეს მოთამაშეს და მაშინ შეგნებული, აზრიანი იქნება მისი თამაშიც. ბ-ნი პეტრე კი უფრო სიტყვებს აქცევდა ყურადღებას არ გამოემრჩესო,—ვიდრე როლის აზრს და ამიტომაც მისი თამაში კარგ გავლენას ვეღარ ახდენდა. საერთოდ პიესას ურიგოდ არ ჩაუვლია.

**ტიერ.**

# წერილი რედ. მიმართ

ბატონო რედაქტორო! ნება მიბოძეთ თქვენი გაზეთის საშუალებით ულრმესი მადლობა გამოუცხადო იმ პირთ, ვინც დახმარება გაუწიეს ახლათ დაარსებულ სოფელ დიმის წიგნთსაცავ სამკითხველოს. შემომწირველთა სია: ტიტიკო ქემოკლიძე 2 მან. დიმიტრი მეტრეველი 1 მ. ლევან გიორგობიანი 1 მ. გრიგორ ქემოკლიძე 50 კ. დავით ქემოკლიძე 50. გიორგი ცაბაძე 50. გრიგოლ ოგანო 30 კ. დავით თვალჭრელიძე 25 კ. პეტრე კაპანაძე 20 კ. გრიგოლ ფირიაშვილი 20 კ. ილია ჩიკარიანი 20 კ. გრიგოლ ძნელაძე 20 კ. ნიკოლოზ კაპანაძე 10 კ. გაიოზ მარტიაშვილი 10 კაპ. სულ 7 მ. და 5• კაპ.

**ტიტიკო ქემოკლიძე.**

**პასუხი ბ. „კარდანახელს“.**

„სახალხო გაზეთი“-ს 701 ნომერში მოთავსებულია ბ-ნ კარდანახელის წერილი, რომლის ზოგიერთი ადგილები სინამდვილეს არ ესაბამება. ბ. კარდანახელი სხვათა შორის სწერს: „დიდი ხანია ნება დართულია ერთ-კლასიანი სამინისტრო სკოლა გადააკეთონ ორ-კლასიანად“...

როდის და ვინ დართო ნება, ჩვენთვის პირველი გაგონებაა. სოფ. კარდანახის საზოგადოებამ წარსულს შემოდგომაზე თუმცა წარუდგინა სამოსწავლო მთავრობას განაჩენი აწ არსებულ ერთ-კლასიანი სკოლის ორ-კლასიანად გადაკეთებისა, მაგრამ, ამაზე სათანადო მთავრობასთან შესაფერი შუამდგომლობაც არ არის აღძრული; შუამდგომლობა კი უნდა აღძრას იმ პირმა (მეორე რაიონის ინსპექტორმა), რომელსაც განაჩენი წარედგინა. სამოსწავლო მთავრობას მხოლოდ განზრახვა აქვს არსებული სკოლის ორ-კლასიანად გადაკეთებისა. ეს განზრახვაც, ნებართვაც, დამტკიცებაც და ორ-კლასიანი სკოლის ორგანიზაციულად მოწყობაც ხორცს შეისხავს მხოლოდ მაშინ, როდესაც სკოლის ამ ჟამად გაბნეული „ნაწილები“ მასწავლებლებიანად თავს მოიყრიან სკოლის საკუთარ შენობის ერთს ჰერ-ქვეშ. წინააღმდეგ შემთხვევაში განზრახვა განზრახვადვე დარჩება.

„აქაურ მასწავლებელთა ვალია ჩააგონონ გლეხებს მეოთხე მასწავლებლის საჭიროებაო“... სწერს კარდანახელი. სავსებით ვეთანხმები, ბ. კარდანახელს. მასწავლებელთა მოქმედება რომ ამ მიზნის განხორციელებისაკენ არის მიმართული, თვით კარდანახელიც, ვერა ჰყოფს უარს. გლეხებს რომ აუცილებელ საჭიროებად მიაჩნიათ მეოთხე მასწავლებლის მომატება, ამას მათი დაჟინებითი მოთხოვნილებაც ამტკიცებს; „ან გამოგვიგზავნონ მეოთხე მასწავლებელი, ან სულ დაიკეტოს სკოლაო“. გარდა ამისა, შარშან შემოდგომაზე წარდგენილ განაჩენითაც თხოულობენ გლეხები მეოთხე მასწავლებელს: „სამოსწავლო მთავრობაც მზად არის კარდანახში მეოთხე მასწავლებლის გამოგზავნაზე, ერთი კვირის წინად სკოლის გამგემ მიიღო ქაღალდი, რომელსაც ევალება მეოთხე მასწავლებლის ოთახისათვის ადგილობრივ შეუკვეთოს ხაზინის ხარჯით ხის ავეჯეულობა: მაგიდები (3), საწოლი, სკამი და სხვა. მაგრამ... დაბრკოლება შესაფერს იდგილს შესაფერი ბინის უქონლობაშია.

ვსარგებლობ შემთხვევით და სკოლის საჭიროებაზე ორიოდე სიტყვას ვიტყვი. 1911 წლის ზამთრისთვის საზოგადოებამ ძველ მამასახლისის პირით სამს მასწავლებელს აღუთქვა თორმეტი საჟენი შეშა, მიუვიდათ კი მხოლოდ თორმეტი ურემი! წარსულს ზამთრისთვის იმავე მასწავლებლებს აღუთქვეს ოცდათექვმეტი ურემი (9 საჟენი) შეშა, ნამდვილად კი მიუვიდათ ოცდა რვა სუბუქად დადებული ურემი (რვა ურემი რაღა იქნა?). იგივე ისტორია მეორდება წელსაც: ცხრა საჟენი შეშის მაგივრად სკოლას მიუვიდა ექვსი საჟენი: „გეყოფათო“, ამბობს სასოგადოების მეთაური. ამ „გეყოფათო“-მ ერთი ნამყოფი მასწავლებელი იქამდის მიიყვანა, რომ იძულებული შეიქმნა სკოლის ეზოს ღობე დაეწვა, რის წყალობითაც დღესაც სკოლის ეზო შემოუღობავი გდია. ვერ დავემდურებით საზოგადოებას, რომელიც ყოველ წლივ შეშის საფასურს პირნათლად ხდილობს, მაგრამ ეს საფასური სუნნელოვანი მალამოსავით ვიღასაც ეგლისება ხელებზე; სკოლა კი უშეშობით დიდს გაჭირვებაში ვარდება და მასწავლებელნი იძულებულნი ხდებიან სისხლის ოფლით მონაგარნი თავიანთი გროშები შეშაში აძლიონ. აღარაფერს ვიტყვი იმაზე, რომ სკოლის საკუთარს შენობაში, ეს მესამე წელიწადია, იატაკი, ჩაწოლილია, სწვიმს შიგნით, როგორც გარედ. კანცელარიაში მოთავსებული სკოლის ნაწილი თავის მასწავლებელი ქალით რა დუხჭირს განიცდის,—სწორედ საარაკოა: მეცადინეობის დროს საერთო დერეფანში ხალხის ყაყან-ლანძღვა-ჩხუბთან ერთად მათრახის ტკაპა-ტკუპიც ხშირად ისმის ხოლმე. ყველა ამ სიკეთის მაცქერალნი არიან მასწავლებელიც და მოწაფენიც. თუ ეხლანდელს მასწავლებლებს ხსენებულს პირობებში უხდებათ თავიანთი ტანჯული ცხოვრების ღაფვა, რაღა უნდა მოელოდეს მოსაწვევად განზრახულს მეოთხე მასწავლებელს, რომლისათვისაც არც ბინა, არც შეშა და არც სხვა რამ საზოგადოების მხრივ ნაზრუნი არ ექნება. თუმცა ამ საგანზე მაისიდანვე მიეცათ წინადადებაც, რჩევა დარიგებაც შემოდგომაზე სწავლის მოსურნე ბავშვთა სკოლის გარედ დარჩენის თავიდან ასაცილებლად. უმჯობესი იქნებოდა ბ. კარდანახელს ამ გარემოებისათვისაც მიექცია ცოტაოდენი ყურადღება.

კარდანახის სამინისტრო სკოლის გამგე

**ალ. არბეიაშვილი.**

**რედაქტორ-გამომცემელი**
**ნ. კურდღელაშვილი.**

# გამოსადეგი ცნობა

## მატარებელთა მისვლა

**(ზ ა მ თ რ ო ბ ი თ).**

**15 ოქტომბრიდან.**

(დრო აღნიშნულია ტფილისის საათით).

**ტფილისიდან გადის.**

**ბაქოსაკენ: სამგზ.-საბარგო** № 8, სად. 7 ს. 26 წ. **ჩქარი** № 2, დილ. 10 ს. 14 წ. **საფოსტო** № 4, ღამის 12 ს. 36 წ. **სამგზავ.** № 6, ნაშუადღ. 6 ს. 31 წ. **ნარევი** № 106. ღამ. 5 ს. 53 წ.

**ბათომისაკენ: სახ.** № № 107, ღამ. 4 ს 20 წ. **სახ.** № 5, ღამ. 4 ს. 38 წ. **საფ.** № 3, დილ. 7 ს. 54 წ. **სახ.** № 4, საღ. 9 ს 4 წ. **სახ.** № 11, ღამ. 10 ს. 2 წ.

**ერევნისაკენ: საფ.** № 4/3, ღამ. 1 ს. 16 წ. **სახ.-საბ.** № 8/7, ნაშ. 1 ს. 6 წ. **სახ.-საბარგ.** № 6/5, საღ. 8 ს. 10 წ.

**ბორჯომისაკენ: სახ.** № 9/10 ნ, შ 1 ს. 21 წ.

**ტფილისში მოდის.**

**ბაქოდან. ნარევ.** № 107, ღამ. 3 ს. 8 წ. **სახ.** № 5, ნაშ. 3 ს. 46 წ. **საფ.** № 3, დილ. 9 ს. **ჩქარ.** № 1, საღ. 9 ს. 10 წ. **სახ.-საბ.** № 7, დილ 11 ს. 55 წ.

**ბათომიდან: სახ.** № 12, დილ. 8 ს. 50 წ. **საფ.** № 4, ღამ. 11 ს. 32 წ. **სახ.** № 6, ნაშ. 5 ს. 56 წ. **ნარევ.** № 106, დილ. 5 ს. 15 წ.

**ერევნიდან: სახ.-საბ.** № 83/7 ნაშ. 5 ს. 28 წ. **სახ.** № 4|3, დილ. 8 ს. 0 წ. **სახ.-საბ.** № 65, ნაშუადღ. 1 ს. 28 წ.

**ბორჯომიდან: სახალ.** № 9|10 ნ, დილ. 11 ს. 22 წ.

**მიხაილოვიდან სურამში სახ.-საბარგ.** № 61, ღამ. 2 ს. 18 წ. **სახ.-საბ** № 63, დილ. 4 ს. 30 წ. **სახ.-საბ.** № 65, ნაშ. 12 ს. 48 წ. **სახ.-საბ.** № 67, ნაშ. 3 ს. 13 წ. **სახ.-საბ.** № 69, საღ. 7 ს. 53 წ. **სახ.-საბ.** № 71, საღ. 9 ს. 20 წ.

**ქუთაისიდან რიონში: სახ.** № 77, დილ, 5 ს. 28 წ. **სახ.** № 79, დილ. 10 ს. 14 წ. **სახ.** № 81, ნაშ. 2 ს. 3 წ. **სახ.** № 83, ნაშ. 5 ს. 48 წ.

**რიონიდან ქუთაისს: სახ.** № 76, დილ. 5 ს. 25 წ. **სახ.** № 78, დილ. 11 ს. 2 წ. **სახალ.** № 80, ნაშ. 3 ს. 8 წ. **სახ.** 82, საღ. 6 ს. 55 წ. **სახ.** № 84, ღამ. 1 ს. 38 წ.

**ქუთაისიდან შორაპანს: სახალხო** № 29/30, ნაშ. 5 ს. 23 წ.

**შორაპნიდან ქუთაისს: სახ.** № 27|28, დილ. 8 ს. 30 წ.

**ფოთიდან სამტრედ. და ქუთაისს: სახ.** № 26, ღამ. 6 ს. 6 წ. **სახ.** № 4 п, 11 ს. 9 წ. **სახ.** № 6, ნაშ. 5 ს. 1 წ. **სახ.** № 8 п, საღამ. 9 ს. 10 წ.

**სამტრედიიდან ფოთში; სახ.** № 3 п, შუადღ. 1 ს. 57 წ. **სახ.** № 7 п, საღ. 7 ს. 24 წ. **სახ.** № 5 п, საღ. 7 ს. 59 წ. **სახ.** № 25 п, ნაშ. 6 ს. 18 წ.

**ბათომ.-დან ქობულეთისა და ნატანებში: სახ.** № 18, ღამ. 11 ს. 13 ს. **სახ.** № 14, დილ. 5 ს. 43 წ. **საფ.** № 16, ნაშ. 2 ს. 58 წ.

**ქობულეთ.-დან ბათომს: სახ.** № 13, დილ. 7 ს. 4 წ. **სახ.** № 15, ღამ. 12 ს. 23 წ. **სახალხ.** № 17, ნაშ. 5 ს. 47 წ.

**ნატანებიდან ბათომს: სახ** № 17, ნაშუადღ. 5 ს. 20 წ.

**ბათუმიდან ქობულეთში. სახ.** № 18, ღამ. 11 ს. 13 წ. **სახ.** № 14, დილ. 5 ს. 43 წ. **სახ.** № 16, ნაშ. 2 ს. 58 წ.

**ბათომიდან ნატანებს: სახ.** № 16, ნაშუადღ. 4 ს. 24 წ.

**მიხაილოვ.-დან ბორჯომს. სახ.** № 46, ნაშ. 3 ს. 8 წ. **სახ.** № 65, საღ. 9 ს. 14 წ. **სახ.** № 86, ღამ. 5 ს. 25 წ.

**ბორჯომ.-დან მიხაილოვში: სახ.** № 36, ნაშ. 10 ს. 35 წ. **სახ.** № 55, დილ. 5 ს. 58 წ. **სახ.** № 76, ღამ. 12 ს. 40 წ.

**სურამ.-დან მიხაილოვში: სახ.-საბარ.** № 60, ღამ. 1 ს. 33 წ. **სახ.-საბ.** № 62, ღამ. 4 ს. 50 წ. **სახ.-საბ.** № 64, დილ. 7 ს. 20 წ. **სახ.-საბ.** № 66, ნაშ. 1 ს. 28 წ. **სახ.-საბ.** № 68, საღ. 6 ს. 50 წ. **სახ.-საბ.** № 70, საღ. 8 ს. 38 წ.

## გემების მიმოსვლა

**(ზ ა მ თ რ ო ბ ი თ)**

**15 ოქტომბრიდან,**

**შ ა ვ - ზ ღ ვ ა ზ ე.**

(დრო ტფილისის საათით-ა აღნიშნული).

**„ვაჭრობა-ნავოსნობის“**

საზოგადოების გემები.

**ბათომიდან გადის:**

1) პ ი რ დ ა პ ი რ ი, **საფოსტო** გემი **შაბ.**, და **კვირ.**, ღამ. 12 ს. 58 წ.

**ირგვლივ მოსიარულე:**

№ 1. **ოთხშ.**—შუა ღამის 1 ს, 58 წ.
№ 2. **პარასკევბ.**, შუაღამის 1 ს. 58 წ.
№ 1. **სახ.**, **შაბათ.**, ნაშუადღ. 2 ს. 58 წ.
№ 2. **ორშაბ.**, ნაშ. 2 ს. 58 წ.

**ბათომში მოდის:**

**ოდესიდან** პ ი რ დ ა პ ი რ ი, **საფ.**, **პარ.**, დილ. 6 ს. 58 წ.

**ირგვლივ მოსიარულე:**

№ 1. **ორშ.**, საღ. 9 ს. 58 წ.
№ 2. **ოთხშ.**, საღ. 8 ს. 58 წ.
№ 1. **სამგზ.**, **პარ.** საღ. 8 ს. 58 წ.
№ 2. **კვირ.**, საღ. 6 ს. 40 წ.

**კასპიის ზღვაზე.**

**„კავკაზი და მერკური“**

საზოგადოების გემებისა.

**ბაქოდან გადის:**

**კრასნოვოდსკს**, ყოვ.-დღე საღ. 4 ს. 40 წ.
**ენზელს** პ ი რ დ ა პ ი რ ი, **პარ.**, და **სამშაბ.**, ნაშუადღ. 4 ს 40 წ.

ირგვლივ მოსიარულე:

**ასტარას, ხუთშ.** ნაშუადღ. 5 ს. 25 წ.

**ბაქოში მოდის;**

**კრასნოვოდსკიდან** ყოველ-დღ. დილ. 9 ს. 40 წ.
**ენზელიდან** ორშ. და პარ., დილ. 60 ს. 4 წ.
**ასტარიდან** კვირ., ირგვლ. მოს. დილ. 5 ს. 44 წ.

## სასანიტარო ექიმები

**უბნები:** 1, 2—9 **პ. ფომინა-თხიპოვისა** ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461).

მე-4 და რუსის ბაზარში **ქრ. ლ. ქალანთაროვი** (სოლოლაკი, ამაღლების ქ. , 517).

5—6 **ი. მ. ზაბლუდოვსკი** (გრიბოედოვსკი, 10. ტელ, 645).

10, 11—12 **ვ. ა. მირაქოვი** (მიხეილის ქ., 174 ტელ. 327).

7—8 **გ. თ. ნათიშვილი** (ვორონცოვის ძეგლთან, მონუმენტნი შესახვ. 5. ტელ. 487).

6—7 **შ. ა. მიქელაძე** (ავლაბარში, კახეთის ქ , 1, ტელ. 715).

8—9 **ნ. ღ.** [illegible]

10, 11—12 [illegible]

სასურველია, თვითონ მცხოვრებლები დაგვეხმარებოდნენ სასანიტარო წესიერების შემოღებაში და სადაც-კი ამ მხრივ უწესობას შეჰნიშნავენ—სახლებში თუ სხვა ადგილებში სასანიტარო მოთხოვნილებათ არღვევენ, ცუდს საჭმელ-სასმელს აკეთებენ და ჰყიდიან და სხ.—დაუყონებლივ ზემოდ დასახელებულ ექიმებს აცნობონ, წერილობითი განცხადებები ყველას შეუძლიან გარდასცეს ქალაქის სავაჭრო პოლიციის კანტორებში: ვერის მოედანზე. რუსის ბაზარში, თათრის მოედანზე, კახეთის მოედანზე, ავლაბარში რიყის ქუჩაზე, 54, ელისაბედის ქუჩა 56 და მალაკნის მოედანზე.

## უფასო საექიმო დახმარება

**ქალაქის საბჭოს ექიმები.**

უბნები

1—2 **გ. ა. გედევანი** (სდგას ვერაზე, ოლგის ქუჩა, 22. ტელეფ. 592).

3—4 **მ. ი. შავერდოვი** (ფეთხაინის აღმართზე, 1, ტელ. 619).

5—6 **ტ. მ. თათეოსიანი** (ველიამინოვის, 4, ტელეფ. 680).

## ქალაქის საავადმყოფოები

**მთავარი**—მუხრანის ქუჩა, 9.
**ავლაბრისა**—კახეთის ქ. № 15.
**ხარფუხისა**—ვორონცოვის ქ. 55.
**კუკიისა**—ჩერქეზიშვილისა, 1—18.
**დიდუბისა**—საგურამოს ქ. 5.

ქალაქის საბჭოს ექიმები მოვალენი არიან ღარიბ მცხოვრებთ უფასო საექიმო დახმარება აღმოუჩინონ ქალაქის საავადმყოფოებში და თვითონ ავადმყოფის ბინაზედაც ყოველმა თავ-თავის უბანში), თუ უბრალო ექიმი დილის 11 საათამდე მოიწვიეს, ვალდებულია იმ დღესვე ინახულოს ავადმყოფი, გარდა საჩქარო შემთხვევებისა, როცა დახმარება დაუყოვნებლივ უნდა მისცეს.


# განცხადებანი

**ექიმ ნავასარდიანის პირველი კერძო სამკურნალო**

დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

**ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა.**

**დ ი ლ ი თ:**

**„606“—11—12 ს. შეშხაპუნება კონსულტატიურად.**

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, და ვენერიული (სიფილ.) ავად.
**ბ. გ. ბაგასაროვი:** 1—2 ს. შინაგანი ბავშვთა ავადმყ.
**კ. მ. ჩიქოვანი:** 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. ხაზებიო. ქალებისა და ბავშვებისა,
**ნ. ტ. მულიანი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
**მ. გ. ავეტისიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
**გ. ი. გურგენოვი:** 12—1 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
**ა. პ. კარაპეტიანცი:** 12—1 ს. შინაგანი საბავშვო და ყვავილის აცრა.
ექიმი ქალი **ე. ნ. ამბრუმოვა-მელ ქიანი** 1—2 ს. საბებიო დ. ქალების ავადმ.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**მ. გ. ავეტისიანცი:** 6—7 საათ.

რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთა ვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის
1078 დოქტორი **ბ. ა. ნ ავასარდიანი.**

# ფეხსაცმელები

**თომა დ. ჯანყარაშვილის**

**მაღაზია-სახელოსნოში.**

მუხრანის ქ. № 2.
ყოველ ნაირი: საკუთარი და პეტერბ. მეხანიკური ნაწარმოები.





683.

გამოსულია და იყიდება

# არჩილ ჯორჯაძის

## თხზულებანი:

I ტ „ეროვნულ პრობლემის გარშემო“ ფასი „ „ „ 75 კ.
II „ „ჩვენი საზოგადოებრივობა „ „ „ „ „ 80 .
III „ „ნააზრევი“ „ „ „ „ „ „ „ „ 65 კ.
IV „ წერილები „ცნობის ფურც.“-„მოამბ.“ 1901—1902 წ. „ 85 კ.

გამოსულია და იყიდება

**ნ. შიუკაშვილის**

პიესა **„მემკვიდრეობა“**, დრამა 4 მოქმედებ. ფასი 30 კაპ.

**გამოსულია და იყიდება**

**ი. გედევანიშვილის** პიესა

**„გ ა მ ც ე მ ი“**

დრამა 3 მოქმედ. ფასი 25 კ.

მიიღეთ საუკეთესო გემოს მარცვლოვანი, ქვირითის (კეტოვ.) ხიზილალა.

თევზის მრეწველნი

**ამ. ძმ. მეგველოვები.**

პუშკინის ქ., საკუთარი ს. № 9.
ტ ე ლ ე ფ ო ნ ი № 712.

1131

გამოსული ქერჩის სელიოტკები, და ყოველგვარი კონსერვები.

მოგვდის მუდამ დღე საკუთარი სამრეწველოდან ახალი თევზი, ხიზილალა, (ქიტკა), ორაგული, თართი, ტარაღანა, ლოქო და სხვა. და აგრეთვე ყოველ დროს იყიდება მაღაზიაში **მოხარშული ლოში, ზურგიელი,** და ყოველგვარი

**შ ა ვ ი ხ ი ზ ი ლ ა ლ ა**